საქართველოს
რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 5-6 აპრილი. 2021 წ. №71-72 (9190-9191) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ვინ აგვცრის ნაციონალურ ვი-რუს-ზე?!..

# უპატრონო ეკლესიას სამოქალაქო აქტივისტები შეესივნენ!



5

# სირცხვილების ქვეყანა!..

5

## უხნესი ქალაქის მემატიანე!



8

„ქუთაისი“ 100 წლისაა!

## „პანდემია უკან დაიხევს და აუცილებლად გავმართავ სოლო კონცერტს რუსთაველებისთვის...“

6

## საქართველოში სამი ტყუპი დაიბადა!



თბილისში სამი ტყუპი ვაჟი დაიბადა: დავითი, კონსტანტინე და ნიკოლოზი. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მშობლები ტყუპის — ალექსანდრესა და თომას მშობლები გახდნენ.

როგორც გაგუას კლინიკაში აცხადებენ, დავითი, კონსტანტინე და ნიკოლოზი თავს კარგად გრძნობენ.



## საქართველო კიდევ ერთ გამორჩეულ შვილს ემშვიდობება

გემშვიდობებით, ბატონო გურამ! დღეს უმძიმესი დღეა, რამეთუ საქართველო კიდევ ერთ გამორჩეულ შვილს ემშვიდობება. დღეს დავობლდით და გავღარიბდით ორმაგად! მაგრამ თქვენს მიერ დატოვებული განძი ჩვენი ხვალინდელი საზრდო იქნება“...

**სალომე ზურაბიშვილი**

## გურამ დოჩანაშვილმა მდიდარი შემოქმედება დაგვიტოვა მემკვიდრეობად

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თანამედროვე კლასიკოსი მწერლის გურამ დოჩანაშვილის გარდაცვალების გამო.

გურამ დოჩანაშვილმა მდიდარი შემოქმედება დაგვიტოვა მემკვიდრეობად. მისი ფრთიანი ფრაზები და დაუვიწყარი ლიტერატურული გმირები სამუდამოდ დარჩებიან ქართველი მკითხველის ხსოვნაში. ასეთი გმირების შექმნა მხოლოდ ჭეშმარიტად ნიჭიერ, გულწრფელ და გამორჩეულად კაცთმოყვარე შემოქმედს შეუძლია.

თანამედროვეობის უდიდესი მწერალი გურამ დოჩანაშვილი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა — მას არასოდეს მოჰკლებია ქართველი მკითხველის აღიარება და სიყვარული. მისი ყველა ნაწარმოები მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს აღვივებს და განსაკუთრებით ძლიერ კვალს ტოვებს ყველა თაობის მკითხველზე. გულწრფელად ვუსამძიმრებ ამ დიდ დანაკლისს მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და ქართველ საზოგადოებას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და საყვარელია გურამ დოჩანაშვილის უკვდავი შემოქმედება...

**ირაკლი ღარიბაშვილი**

## უდიდესი დანაკლისია ქართული კულტურისთვის

„თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა შემოქმედმა, კლასიკოსმა გურამ დოჩანაშვილმა მთელი ცხოვრება ლიტერატურას მიუძღვნა და სიკეთეზე, კაცთმოყვარეობაზე, თავისუფლებისკენ სწრაფვასა და სამშობლოს სიყვარულის თემაზე არაერთი რომანი და მოთხრობა შექმნა. მისი შემოქმედება არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურად იქცა. მწერლის მოთხრობები და რომანები თარგმნილია მრავალ ენაზე, მისი ნაწარმოებები არაერთ კინოფილმსა და ტელესპექტაკლს დაედო საფუძვლად.

ყველასათვის საყვარელი მწერლის ნაწარმოებებზე მრავალი თაობა აღიზარდა. მან უნიკალური შემოქმედება დატოვა და გაამდიდრა ქართული კულტურა. გურამ დოჩანაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული კულტურისთვის. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მწერალ გურამ დოჩანაშვილის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს“.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

იხ. 11 გვ.




# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოს ნატოში დაწინაურების დრო დადგა!

**საქართველოს ნატოში დაწინაურების დრო დადგა — ღრმად გვწამს, რომ ნატოსაც ისევე სჭირდება საქართველო, როგორც ჩვენ გვჭირდება იგი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების ხელმოწერით დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია — ნატო.

ნატოს ფუძემდებლური პრინციპი ამბობს, რომ საზოგადოების კეთილდღეობა წარმოუდგენელია თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარეშე. მათი კოლექტიური უზრუნველყოფა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია.

ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა — საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი — ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონსენსუსს ეფუძნება, რაც კონსტიტუციაშიც არის ასახული.

ალიანსთან თანამშრომლობით საქართველომ უდიდეს პროგრესს მიაღწია დემოკრატიის განვითარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიმართულებებით.

ჩვენმა ხელისუფლებამ ეს თანამშრომლობა, დაფუძნებული პრინციპზე — „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში, კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა.

დღეს საქართველო ნატოს ერთ-ერთი ყველაზე ახლო, საიმედო პარტნიორია. ჩვენს სამხედროებს პროფესიონალიზმითა და თავდადებით დიდი წვლილი შეაქვთ სამშვიდობო ოპერაციებში, იქნება ეს ავღანეთში „ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისია“, თუ ევროკავშირის მისიები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში.

ჩვენ მზად ვართ, სრულად გავიზიაროთ კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობა. მე უკვე განვაცხადე ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრისას, რომ საქართველოს ნატოში დაწინაურების დრო დადგა.

ღრმად გვწამს, რომ შავი ზღვისპირეთის მიმართულებით ალიანსის გაფართოება აუცილებელი პირობაა ევროპული და მსოფლიო უსაფრთხოებისთვის; რომ ნატოსაც ისევე სჭირდება საქართველო, როგორც ჩვენ გვჭირდება იგი“.

## სკოლებში შიდა გავრცელების შემთხვევები არ ყოფილა!

**ბოლო ერთი კვირის მონაცემებით, მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ვირუსი მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 0,1%-ს და მოსწავლეთა 0,03%-ს დაუდასტურდა. აღსანიშნავია, რომ სკოლებში შიდა გავრცელების შემთხვევები არ ფიქსირდება,** — ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

მშობელთა თხოვნით, ასევე, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, ამ ეტაპზე სრულ დისტანციურ სწავლებაზე 37 სკოლა და 117 ცალკეული კლასია. ორი დღის წინ, საქართველოს მასშტაბით, სრულ დისტანციურ სწავლებაზე 52 სკოლა იყო. აქედან 15 სკოლა ორშაბათიდან სწავლას საკლასო ოთახებში განაახლებს. მცირედ არის გაზრდილი რისკჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთაც დისტანციური სწავლების თხოვნით, თავად მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას და შეღავათი გაეწიათ. ამ ეტაპზე დისტანციური სწავლების ფორმატში ქვეყნის მასშტაბით 80 მასწავლებელი იმყოფება.





## ქალი მსჯავრდებულებისთვის თექის დამუშავების ტექნოლოგიაზე მასტერკლასი გაიმართა

**სასჯელაღსრულების მე-5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მორიგი ონლაინ ჩართვა შედგა.**

ამჯერად მსჯავრდებულებმა სათამაშოებისა და ფიგურების თექით დამუშავების ტექნოლოგიის მასტერკლასი მოისმინეს. ორდღიანი ონლაინჩართვის ფარგლებში, მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთან ერთად, მასალაზე პრაქტიკულად ემუშავათ და ამ მიმართულებით ცოდნა კიდევ უფრო გაეღრმავებინათ.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მე-5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში უკვე მეორე აქტივობას ახორციელებს.

## ფოცხო-ეწერში პროფესიული სტუდენტებისთვის ახალი სახელოსნო შენდება

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხო-ეწერში პროფესიული სტუდენტებისთვის სადურგლო და ხის წარმოების სახელოსნო შენდება.**

სოფელი ფოცხო-ეწერი დასახლებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელოსნოს ფუნქციონირება მსურველებს დაეხმარება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროფესიების დაუფლებაში, შესაბამისი პრაქტიკის გავლასა და შემდგომ დასაქმებაში.



მშენებლობის პროცესს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

⦿ მკითხველის თხოვნით ვუბრუნდებით პრობლემას

# უნდა აიცრან თუ არა კორონავირუსზე ის ადამიანები, რომლებმაც კოვიდ-19 უკვე გადაიტანეს?

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ინდოეთი, კანადა) პროფილური სამედიცინო დაწესებულებები რეკომენდაციას უწევენ ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებას, მიუხედავად იმისა, ადამიანმა უკვე გადაიტანა კოვიდ-19 თუ არა.**

ჯანმოს ექსპერტები Pfaizer\BioNTech-ისა და Moderna-ს მიერ წარმოებულ ვაქცინებთან დაკავშირებით გვირჩევენ, საერთოდ არ გავიკეთოთ საკონტროლო ტესტი და გადატანილი დაავადების შესახებ ინფორმაცია ვაქცინაციის საკითხის გადაწყვეტისას არ გავითვალისწინოთ. ამასთან, აქვე მითითებულია, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია პასუხის გაცემა კითხვაზე, კოვიდგადატანილი პაციენტისთვის იძლევა თუ არა ვაქცინა დამატებით დაცვას და რამდენად მნიშვნელოვანია ეს დაცვა მსგავსი კატეგორიის შემთხვევაში. ამის შესაფასებლად საკმარისი მონაცემები ჯერ კიდევ არ არსებობს.

**— კოვიდინფიცირების შემდეგ რა დრომ უნდა გაიაროს, რომ ვაქცინის გაკეთება შევძლო?**

— აქ რეკომენდაციები საკმაოდ განსხვავდება. იმაზე ყველა თანხმდება, რომ ისევე, როგორც სხვა ვაქცინების შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გამოჯანმრთელდეთ. თუმცა ლოდინის რეჟიმის ხანგრძლივობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

მაგალითად, ჯანმო მიიჩნევს, რომ იმ ადამიანებმა, ვინც კოვიდ-19 ახლახან გადაიტანეს, შეუძლიათ ვაქცინაცია ექვსი თვით გადადონ. ამ მოსაზრებას იმით ხსნიან, რომ განმეორებითი ინფიცირება დაავადებიდან ექვს თვეზე ადრე ძალიან იშვიათია. ამავე დროს, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოლოდინის რეჟიმის ხანგრძლივობა შეიძლება მომავალში ბუნებრივი იმუნიტეტის შესახებ ახალი მონაცემების მიღების შემდეგ გადაიხედოს.

ჯანმოს მსგავსად, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC) ახლახან კოვიდგადატანილ პაციენტებს ურჩევს, ვაქცინაცია გარკვეული დროით გადადონ. თუმცა აქ კონკრეტული პერიოდი მითითებული არ არის (ან საუბარია 90-დღიან საორიენტაციო პერიოდზე). CDC-ში ასევე ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ბუნებრივი იმუნიტეტის არსებობაზე, არამედ იმ ფაქტზეც საუბრობენ, რომ ვაქცინის დეფიციტის პირობებში, ახლად კოვიდგადატანილმა პირმა აცრაზე დროებით შეიძლება უარი თქვას, რათა ვაქცინა ჯერ რისკ-ჯგუფის სხვა წევრებს გაუკეთდეთ.

ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახური (NHS) გვირჩევს, რომ ახლად კოვიდგადატანილი პირი აცრას მხოლოდ 28 დღე დაელოდოს. ათვლის წერტილად კი ტესტის პირველი დადებითი პასუხი ან სიმპტომების გამოვლენის დღე აირჩიოს. ინდოეთში ეს პერიოდი კიდევ უფრო ხანმოკლეა — მხოლოდ 14 დღე.

გერმანიის კოხის ინსტიტუტი (უფრო სწორად, ამ დაწესებულების ვაქცინაციის კომისია), ჯანმოს მსგავსად, გვირჩევს, გამოჯანმრთელებიდან დაახლოებით ექვსი თვე არ ავიცრათ.

**— როგორ მოვიქცე, თუ პირველ და მეორე ინიექციას შორის შუალედში დავინფიცირდი?**

— ამას მნიშვნელობა არ აქვს — მეორე ინიექცია მაინც უნდა გაიკეთოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, გამოჯანმრთელების შემდეგ.

**— თუ ვაქცინა არ გავიკეთე, ხელმეორედ დაავადების რისკი არსებობს?**

— „ჩვეულებრივი“ შტამით ხელმეორედ ინფიცირების შანსი, როგორც ჩანს, არც ისე დიდია. ვირუსის ერთი და იმავე ვარიანტით რეინფიცირების მაჩვენებელი ცუდად არის შესწავლილი, მაგრამ ის აშკარად ძალიან დაბალია. ყატარში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც კორონავირუსის ანტისხეულების მქონე 43 ათასი ადამიანის ნიმუში შეისწავლეს, ვირუსის ერთი და იმავე სახეობით ხელმეორედ ამ პაციენტების მხოლოდ 0,1% დაავადდა (საშუალოდ, კოვიდგადატანილებს პირველი 4 თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ).

თუ ვსაუბრობთ კორონავირუსის ახალი შტამებით რეინფიცირებაზე (ბრიტანული, სამხრეთაფრიკული და ბრაზილიური — აქ არის დეტალური ინფორმაცია მათ შესახებ), მაშინ ასეთი შემთხვევები, სავარაუდოდ, შეიძლება საკმაოდ ხშირი აღმოჩნდეს. ამ ეტაპზე შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი შტამით ინფიცირების შემთხვევაშიც კი, უკვე არსებული ვაქცინა ადამიანს დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან დაიცავს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ამის შესახებ საიმედო მონაცემები ჯერჯერობით არ არსებობს.

# სირცხვილების ქვეყანა!..



## სირცხვილი პირველი

**გასული კვირის ორშაბათი ნამდვილად იმედის დღე იყო: დაიწყო ხელისუფლებისა და ოპოზიციის მეორე რაუნდი ევროკავშირის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ბატონი დანიელსონის შუამავლობით. იმ და მეორე დღის პერიპეტიებისა და ფინალის შესახებ მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის. მე მხოლოდ იმის წარმოჩენა მსურს, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა, ანუ დიდი სირცხვილი. რატომ დაყვინა შერიგების, ქვეყნის ამოსუნთქვის შანსმა, როგორ და რატომ გაუშვა იგი ხელიდან როგორც ერთმა, ისე მეორე მომლაპარაკებელმა მხარემ.**

ვიცით, რომ მოლაპარაკება ასე თუ ისე იმედით დაიწყო. შუამავალმა, ბატონმა დანიელსონმა უთუოდ კარგად იცოდა, რა პუბლიკასთანაც ჰქონდა საქმე, იმიტომაც დაიწყო ეზოპურად: კომპრომისი სისუსტე როდია, პირიქით, იგი სიძლიერის, სიმწიფის დასტურიაო, პარტიებმა ყველაფერი გვერდზე გადადეთ საქართველოს ბედნიერებისთვისო, შეთანხმების შედეგად დამარცხებული არავინ იქნება, ორივე მხარე გაიმარჯვებსო.

ეს იმიტომ ითქვა, რომ წინა, პირველ რაუნდში ფუჭი ჯაჯგურის მიუხედავად, ამ მეორე რაუნდის დაწყებამდე ორივე მხარემ არადამაიმედებელი განცხადება გააკეთა: პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა — **ვადამდელი არჩევნები არ იქნება, ასევე დახურული თემაა პოლიტპატიმრების საკითხიო;** თავის მხრივ ოპოზიციამაც ხმაშეწყობილად — **თუ მელია და რურუა არ გვენახოს თავისუფალი, მაშ მტვრად ქცეული დაგვენახოს მთელი სამყაროო, ისე როგორც ცნობილ ემიგრანტულ ეპიტაფიაშია!**

ერთი სიტყვით, მოლაპარაკების წარმატებისთვის ორივე მხარე უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ ეს ოპოზიციისთვის არ შგვიმჩნევია. ის კი არა, გაცხადდა, რომ **მთელი ოპოზიციის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი მიშა სააკაშვილი** ვენებს იჭრიდა, **არავითარ შემთხვევაში შეთანხმება არ დაუშვათო, საერთოდ კი, ევროპა არა, ტოროლაო!**

თუმცა, დეკლარაციულად აცხადებდნენ, ეს არის ისტორიული შანსი, რათა ქვეყანა გამოვიყვანოთ უმძიმესი კრიზისიდანო, თანაც ამ შანსის ხორცშესხმაში **თავისი ხუთკაციანი პარტიის (!) მონაწილეობას (!) მაგალითად, თაკო ჩარკვიანი „სრულიად საქართველოს საზოგადოების“ ფსევდონიმით წარმოაჩენდა.** ზემოხსენებული ოპოზიციის (მარია სპირიდონოვა) **სალომე სამადაშვილი შიშობდა, ვაითუ დანიელსონის დოკუმენტმა ორად გაგვხლიჩოს — ნაწილმა ხელი მოაწეროს დოკუმენტს, ნაწილმა არაო.** ერთი სიტყვით, შეთანხმებისთვის გულწრფელი მზაობა არადა არ ჩანდა, ამიტომ ენამწარობდა ირაკლი კობახიძე, ოპოზიცია ყველაფერს წააგებს, დურაკასაც კიო. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, დოკუმენტს ხელი არავინ მოაწერა, მაშვლობა ჩაიშალა. იმ პატიოსან კაცს დანიელსონს სახეზე აშკარად ეწერა, ეს ვინ ყოფილხართ, თქვენი დედაცო **(მოლაპარაკების მონაწილის ალეკო ელისაშვილის დაკვირვება)**.

დამთავრდა თუ არა სამშაბათის ბოლო შვიდსაათიანი შეხვედრა, ოპოზიციის ლიდერებმა ცეცხლი დაანთეს, „ოცნებამ“ ჩაშალა მოლაპარაკებაო, ესაო, ისაო. მაგრამ მე პირადად ნაკლებად მჯერა მათი. არ შეიძლება ენდო დაციკლული **სალომე სამადაშვილის** და თვალებამოციებული **აკო მინაშვილის** შხამიან განმარტებებს, ყველაფრის მოძულე **გიგა ბოკერიას** ან დოლრიალა, ცარიელი **გიგი უგულავას** მიკერძოებულ, მტრულ თვალსაზრისს. სამაგიეროდ, ბევრად სანდო მგონია ოპოზიციის „კონსტრუქციული“ ნაწილის აზრი.

ოპოზიციამ აღასრულა ის, რაც დაიქადნა, არც „ოცნებას“ გამოუდია თავი. ოღონდ, უნდა ითქვას, რომ თუ ოპოზიცია წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელს მოაწერდა, „ოცნება“ თანახმა იყო, მოეწერა ხელი, თუმცა, დოკუმენტის რამდენიმე პუნქტი მისთვის სასურველი არ იყო, მაგრამ ოპოზიციამ მტკიცე უარი განაცხადა ხელმოწერაზე. შეთანხმების ჩაშლის ინიციატივა სწორედ მასზე მოდის, აცხადებს გირჩელი ვახო მეგრელიშვილი.

ასევე წარმოაჩენს მოლაპარაკების მიმდინარეობას მოქალაქელი ალეკო ელისაშვილი: „ქართული ოცნება“ ხელმოსაწერად მზად იყო, მაგრამ მეორე მხარემ ჩაშალაო. ოპოზიციის ერთი ნაწილი შარზეა, ამ ხალხს არ უყვარს სამშობლო, ეს პოლიტიკური ბასტი-ბუბუ უნდა დასრულდესო.



გვეიმედება, რომ „ოცნება“ სერიოზულად მოეკიდა საქმეს, საჯაროდ განაცხადა, რომ მოლაპარაკების ჩაშლის მიუხედავად, განზრახული აქვს ხელშეკრულების პროექტში შემავალი საკითხების, კერძოდ, რეფორმების ბოლომდე მიყვანა.

საერთოდ კი სამრაუნდიანი მოლაპარაკების ჩაშლამ (პირველი ბატონი მიშელის მონაწილეობით) შეიძლება მწარედ ამოგვკრას ცხვირში. პირველ აპრილს ევროპარლამენტართა ერთმა ჯგუფმა მიიღო ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ლიდერებს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები. საქმე ეხება ევროკავშირისა და საქართველოს მომავალ ურთიერთობებს, საქართველოს პოლიტიკური ლიდერები კომპრომისის მიღწევაზე უარის თქმის შემდეგ არ უნდა ელოდონ ევროკავშირთან ძველებურად საქმის გაგრძელებას. ევროპარლამენტი მოუწოდებს გადაიხედოს ევროკავშირის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, როგორც მაკროსაფინანსო პროგრამები, ასევე საბიუჯეტო დახმარება“.

როგორ განვითარდება „სანქციები“, ღმერთმა იცის, მაგრამ ევროპარლამენტარების განცხადება სერიოზული სიგნალი უნდა იყოს. ბოლო უნდა მოეღოს ამ გაჭიანურებულ, ძალად თავსმოხვეულ პოლიტიკურ კრიზისს, რაც საშინლად აფერხებს ქვეყნის წინსვლას, აზიანებს მის იმიჯს და თავგზას უბნევს მოსახლეობას მხატვარ გია ბულაძისეული ასეთი ტელეგანცხადებებით: „ოცნება“ არის მოღალატეთა ორგანიზაცია“.

აქამდე მიგვიყვანა ოპოზიციის ომობანას თამაშმა.

## სირცხვილი მეორე

**დღეები გადის მაგრამ ძალიან ჭირს მომხდარის დავიწყება, იმ სირცხვილის და აღშფოთების მონელება, რაც ჩვენმა ქსენოფობ-შოვინისტთა ჯგუფმა ჩაიდინა ამ საქმეში ჭიპმოჭრილი ხულიგნის ელენე ხოშტარიას მეთაურობით, როცა საქართველოში სტუმრად ჩამოსული ცნობილი ჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის და მისი მეგობრების 40-კაციანი ჯგუფი თბილისიდან გააძევა პატრიოტიზმის კარნავალითა და ველური, უზრდელი, უხამსი ღრიანცელით, რის დროსაც მომარჯვებული ჰქონდათ მათთვის ყველაზე დამახასიათებელი „იარაღი“: აგინებდნენ, აფურთხებდნენ, კვერცხებს ესროდნენ, ველურებივით ღრიალებდნენ.**

და მათ მიაღწიეს მიზანს. ერთ-ერთი გაძევებული სტუმარი ირინა ვოლსკაია ინსტაგრამზე წერს: **„სიტყვები არ მაქვს. მხოლოდ მეშინია, მტკივა, მწყინს...“**

ვაი, სირცხვილო!

აშკარაა, ეს იყო სპეცოპერაცია, წინასწარდაგეგმილი პროვოკაცია „გავრილოვი-2“-ის მოსაწყობად.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განმარტა,რომ მთელი ამ უხამსი ღრიანცელის ბაირახტარი ელენე ხოშტარია არის რუსეთის საერთაშორისო დიპლომირებული სპეციალისტი და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ეშმაკის მოციქული ქალბატონი და მისი ჯგუფი მარტო რუსულ საქმეს კი არ აკეთებენ, არამედ ისინი უბრალოდ რუსეთის აგენტები არიან. თუ ასე არ არის, როგორ იგებენ ისინი ყველაზე ადრე ასეთი ვიზიტების შესახებ, რათა სწორედ დაკვეთით ააგორონ ასეთი ბინძური აქციები? სვამს კითხვას ირაკლი კობახიძე და დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

87 წლის ბერიკაცმა ვლადიმერ პოზნერმა 13 წლის წინათ განაცხადა, აფხაზეთი არასოდეს იქნება საქართველოს ნაწილიო და ასეთი ამბავი აუტეხეს, ამ დროს კი იმ კაცის დასაცავად, რომელმაც საქვეყნოდ გვიჩვენა სამი თითის კომბინაცია, დავით გარეჯა საქართველოსი არ არისო, თბილისში დემონსტრაციები იმართება!

კი, რაც თქვა, ცუდად თქვა, ოღონდ, ამ დროს ნურც ის დაგვავიწყდება, მიხეილ სააკაშვილი და ბიძამისი თემურ ალასანია როგორ გვაგინებდნენ, ქართველების დედაო. პოზნერს შსს-ს ინფორმაციით არ დაურღვევია „კანონი ოკუპაციის შესახებ“, რაც ვერ გახდებოდა მისი ქვეყანაში არშემოშვების მიზეზი, მისმა თანმხლებმა პირებმა კი წარმოადგინეს კოვიდპასპორტები ან PSR ტესტირების უარყოფითი პასუხები.

ქართველმა საზოგადოებამ მძიმედ განიცადა იმდღევანდელი შერცხვენა და თავის მოჭრა. ოღონდ, ყველამ — არა. მაგალითად, ტელეწამყვანმა ინგა გრიგოლიამ მაშინვე შეყარა „ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები“ და ცხელ გულზე დაასკვნა: დღევანდელმა დღემ დაგვანახა, რომ ქართველი ხალხი აიტანს შიმშილს, გაჭირვებას, მაგრამ ვერ აიტანს ოკუპანტების საქართველოში ვოიაჟებს და გნიასს“.

ღმერთმა შენც შეგარცხვინა!

მთელ ამ ბაკქანალიას უნდა მოჰყოლოდა და უკვე მოჰყვა არასასიამოვნო, მძაფრი გამოხმაურება რუსეთში. კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა: საქართველოში წასვლა რუსეთის მოქალაქეებისთვის სახიფათოა და ეს მათ კარგად უნდა ესმოდეთო. მან აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს „ექსტრემისტულად განწყობილი ნაციონალისტები“ უწოდა.

ასე რომ, ეს ამბავი უთუოდ ბუმერანგივით დაგვიბრუნდება, წინ ტურისტული სეზონია.

## სირცხვილი მესამე

თითქოს ის ორი ჩასვრა და სირცხვილი არ გვეყოფოდა და მესამეც დაგვემატა: ტელევიზიით ვიხილეთ საპატრიარქოსთან ეშმაკის მოციქულთა მსვლელობა, შავრაზმელი პეტრე ცაავა და მისი გუნდი კვლავ უშვერად აგინებდა საქართველოს დიდ შვილს, კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უზნეობა, ჩირქი და ბალღამი მძლავრად მოედო ჩვენს საზოგადოებას.

**ალეკო ასლანიშვილი**



# ზაზა ფირალიშვილი: დადგება დღე, როდესაც დავიჯერებთ, რომ „გავრილოვის ღამე“ შემთხვევითი არ ყოფილა

ფილოსოფოს **ზაზა ფირალიშვილისთვის** კრემლის პროპაგანდისტების საქართველოში ვიზიტი მიუღებელია, მაგრამ ფიქრობს, რომ პროტესტის განსხვავებული ფორმები უნდა მოიძებნოს.

**„რა თქმა უნდა, პოზნერის ჩამოსვლის გამართლება არაფრით არ შეიძლება: კაცი, რომელიც ასე ლაპარაკებს საქართველოზე, მის პოლიტიკურ პერსპექტივაზე, თუ ჩამოვა, ჩამოვა იმ განწყობით, რომ მოდის ყოფილ კოლონიაში, რომელიც ისტორიული ახირების გამოა თავისუფალი ქვეყანა და დიდი დღე არ უწერია. ზოგადად, ეს განწყობა პუტინის პროპაგანდისტებს ემჩნევათ და ამას ვხედავთ. ამას ემატება ისიც, რომ პოზნერი კანონს არღვევდა: კომენდანტის საათს, რესტორანს ღონისძიების გამართვის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ რეაგირების ისეთი ფორმების მოძებნა, რომელსაც მეტი სოლიდურობა ექნება. არ შეიძლება, ჩვენც იმ ენაზე ვილაპარაკოთ, რა ენაზეც რუსი შოვინისტი ლაპარაკობს. არ შეიძლება, რომ ქუჩის ისტერიული ტონი შეიძლება, იყოს პოლიტიკური ტონი და პოლიტიკური პრობლემების გადამწყვეტი. ეს უკვე ჩვენი პრობლემაა“,** — ამბობს „აქცენტთან“ ფილოსოფოსი.

მისთვის მიუღებელია ხელისუფლების არგუმენტები პოზნერის მოქალაქეობასა და კერძო ვიზიტზე აქცენტით:

**— ეს ამერიკის მოქალაქე პუტინის პროპაგანდისტებს შორის ერთ-ერთი ყველზე გამორჩეული რუსი ჟურნალისტია. მთავარია, რომ ის დღეს პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს!**

**ბოლოს და ბოლოს, დადგება დღე, როდესაც დავიჯერებთ, რომ „გავრილოვის ღამე“ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ის შემთხვევით არ ჩამოსულა და არ დასკუპებულა იმ სავარძელში, რომ ეს შეცდომა არ ყოფილა.**

მისი თქმით, თუ პოზნერს ოკუპაციის შესახებ კანონი არ დაურღვევია, სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაქცია იქნებოდა, იგნორი და კანონის შესრულების მოთხოვნა, „ღამით რესტორანს ვერ გახსნი და ვერ გადააადგილდები“. და ვინაიდან სახელმწიფოს რეაგირება მხოლოდ სამოქალაქო აქტივისტების აქტიურობის შემდეგ მოუწია, ფირალიშვილი ამბობს, რომ „სწორედ ამიტომაა მუდმივად საეჭვო სახელმწიფოს პოზიცია, როდესაც საქმე რუსეთის ინტერესებზე და ზოგადად, რუსეთზე მიდგება:

**„ხუთი პოზნერი ჩამოსულიყო, ოღონდ ანაკლიის პროექტი არ ჩაეშალათ! მათ ეს პროექტი ჩაშალეს და სწორედ ეს მახსენდება პირველ რიგში — დიდი ისტორიული პერსპექტივა, რომელიც გვქონდა და ხელისუფლებამ შეაჩერა. რამდენი ხანია, გვპირდება ტენდერის ხელახლა გამოცხადებას, პერიოდულად წამოწევს თემას, შედეგები კი არ ჩანს. ფაქტია, წლები გადის, ამ სატრანზიტო ნიშას კი სხვები იკავებენ: რუსეთი, ახლა უკვე თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ჩვენ კი თამაშგარეთ ვრჩებით!“.**

**ხუთი პოზნერი ჩამოსულიყო, ოღონდ ანაკლიის პროექტი არ ჩაეშალათ!**

# შეფასებები ბრიუსელიდან და საქართველოს პერსპექტივა



**გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა, მაგრამ ეს სერიოზული სიგნალია, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს, — ასე აფასებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერი, კვლევითი ორგანიზაცია „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი კორნელი კაკაჩია, მათ შორის, საქართველოს საკითხებზე მომუშავე ევროპარლამენტარების ერთობლივ განცხადებას სერიოზული გზავნილებით.**

**როგორც კაკაჩია „აქცენტთან“ განმარტავს, მართალია, განცხადებაში შემოთავაზებული პერსპექტივა ჯერ უშუალოდ ევროკავშირის პოზიცია არაა, მაგრამ არც იმგვარადაა საქმე, როგორც ამის შემოთავაზებას „ქართული ოცნება“ ცდილობს განცხადებაზე ხელმომწერი ევროპარლამენტარების რაოდენობაზე აქცენტირებით:**

**„სწორედ ეს ხალხი მუშაობს ზოგადად, სამხრეთ კავკასიის, მათ შორის, საქართველოს მიმართულებით, ისინი ქმნიან ამინდს, მათ ეკითხებიან აზრს. ამდენად, პოზიციონირება, რომ ეს ადამიანთა მცირე ჯგუფია, მცდარია! მსგავსმა მიდგომამ შესაძლოა, არასასურველ სცენარებამდე მიიყვანოს საქართველოს ხელისუფლება, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ მათ სწორად გაიგეს გზავნილი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპარლამენტარებმა აღნიშნული განცხადება დანიელსონთან (ევროპული საბჭოს სპეციალური წარმომადგენლის — რედ.) შეხვედრის შემდეგ გააკეთეს“.**

კაკაჩიას დაკვირვებით, განცხადების მიზანია, გამოაფხიზლონ პოლიტიკური ელიტა, მათ შორის, სახელისუფლებო გუნდი, ვიდრე ჯერ კიდევ არის დრო, ვიდრე არ მომხდარა საქართველოს საკითხით გადაღლა და კიდევ მეტად არ გართულდა ქვეყანაში ვითარება, გადახედონ თავიანთ შეხედულებებს და მიიღონ გადაწყვეტილება:

**„წინააღმდეგ შემთხვევაში, საუბარია ეკონომიკური დახმარების გადახედვაზე. დასახელებულია 60 მილიონი ევრო. ამ თანხის დაკარგვა ან შეყოვნება, მით უფრო პანდემიის, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, აბსოლუტურად მიუღებელია!“.**

ამ კონტექსტში კი სახელისუფლებო გუნდის პოზიციონირება, რომელიც მეტწილად სავარაუდოდ, შიდა აუდიტორიაზე უნდა იყოს გათვლილი, გაუგებარია კორნელი კაკაჩიასთვის და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ სერიოზულად არ აღიქვეს გზავნილები, განიხილავენ რა მას პერსონალურ მოსაზრებად: კორნელი კაკაჩია არა კონკრეტული პარტიების, არამედ პროცესების გამო ქვეყნის, შესაბამისად, თითოეული მოქალაქის რისკზე და პოტენციურ ზიანზე ამახვილებს ყურადღებას და არ გამორიცხავს, რომ კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში, ევროკავშირის კვალდაკვალ მსგავსი გადაწყვეტილებები უკვე აშშ-ის კონგრესშიც ვიხილოთ:



**„ყველაფერი დამოკიდებულია მოვლენების განვითარებაზე — როგორ გაიაზრებენ გზავნილებს პოლიტიკური აქტორები, განსაკუთრებით, ხელისუფლება: სწორედ მისგან ელიან რეაგირებას. ალბათ, გარკვეული პაუზა იქნება, რათა მხარეებს დაფიქრების შესაძლებლობა მისცენ. მაგრამ თუ ხელისუფლება ოპოზიციასთან ერთად კვლავ გააგრძელებს ჯიუტობას, არ გამოამჟღავნებს კრიზისიდან რეალური გამოსვლის სურვილს, ამ განცხადებას შესაძლოა, ევროპარლამენტის მხრიდან რეზოლუციაც მოჰყვეს. თუ რეზოლუციებსაც არ მიექცა ყურადღება, შესაძლოა, მართლა შეწყდეს კონკრეტული ფინანსური დახმარება და გადახედონ საქართველოსთან დაკავშირებულ სხვა დახმარებებსაც! რაც მთავარია, იყო მინიშნება, რომ კეთილგანწყობილი გარემოს, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს (როგორც მთავრობიდან, ისე ოპოზიციიდან) ბრიუსელში ჰქონდათ, ვერ ელირსებიან. აქ კი ორივე მხარე კარგად უნდა დაფიქრდეს, რამდენად შედის ეს ჩვენს ინტერესებში“.**

მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში კი კ. კაკაჩია საქართველოსთვის სასიკეთო პერსპექტივას ვერ ხედავს, თუმცა იტოვებს იმედს, რომ პოლიტიკური აქტორები გონიერების სასარგებლოდ გააკეთებენ არჩევანს:

**— თუ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაცივდა ურთიერთობები, არა თუ განაცხადის გაკეთება (ევროკავშირის წევრობაზე — რედ.), 2024-მდე როგორ მივალთ, ეს იქნება გასარკვევი: პოლიტიკურ კრიზისს ემატება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, სერიოზული დონორის დაკარგვა ევროკავშირის სახით, უსაფრთხოების გარემო — ჩვენ არ ვართ ევროკავშირის და ნატოს წევრები და დღეს საქართველოს სუვერენიტეტს საერთაშორისო მხარდაჭერა იცავს, მათ შორის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების. თუ მათგან მხარდაჭერა არ გვექნება, გამოდის, რომ რუსეთს ხელს ვუხსნით მოქმედებისკენ. არც მინდა, ვიფიქრო, რომ ამ სცენარებისკენ წავა საქართველო. მაინც ვიტოვებ იმედს, რომ მოვეგებით გონს და ამაში პოლიტიკურ აქტორებს ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი — სამოქალაქო საზოგადოებამ, აკადემიურმა წრეებმა, მედიამ, რათა მათ გააკეთონ ის, რაც საზოგადოების უმრავლესობას სურს. ამის მკაფიო მაგალითია საზოგადოებრივი კვლევების უკანასკნელი შედეგები: გამოკითხულთა უმრავლესობას სურს, პოლიტიკურმა ცხოვრებამ ინსტიტუციურ ჩარჩოში გადაინაცვლოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ეს არ მოხდა, შესაძლოა, პოლიტიკოსებსა და ამომრჩევლს შორის არსებული ბზარი გაღრმავდეს და მოქალაქეებმა ტრადიციული პოლიტიკური პარტიების დასჯა გადაწყვიტონ.**

ამ კონტექსტში კაკაჩია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს და მასში დონალდ ტრამპის გამარჯვებას იხსენებს: მოქალაქეებმა მათ შორის, იმ მიზნითაც, რომ დაესაჯათ პოლიტიკური აქტორები, მხარი პოპულისტ პოლიტიკოს დაუჭირეს:

**„ამაზე უნდა იფიქრონ ჩვენმა პოლიტიკოსებმა“,** — დასძენს კაკაჩია.

# კიევიდან დასახული ამოცანა: არავითარ შემთხვევაში არ დათმოთ!



**„პროცესები განვითარდება ისე, როგორც აქამდე იყო. ქვეყანა, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს და უამრავი რისკის წინაშე დგას, მუდმივად იქნება ასეთ მდგომარეობაში. ალბათ, იქნება გაუთავებელი მიტინგები“, — ასე აფასებს კავკასიოლოგი მამუკა არეშიძე „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ჩაშლილ მოლაპარაკებას, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის სპეციალური წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის მედიაციით იმართებოდა.**

**— რამდენად არის შესაძლებელი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას საქმე ამნისტიით გადაიჭრას?**

— იმისათვის, რომ ეს სიტუაცია ავხსნათ და გავერკვიოთ, უნდა ვიცოდეთ მხარეების ამოცანები. როდესაც მხარეები წითელ ხაზებზე საუბრობენ, ამის უკან არის შემდეგი მოცემულობა: რადიკალური ოპოზიციის გზა სწორედ ეს არის, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ ამოცანაა, ხელისუფლება არ გადააბაროს. რადიკალურ ოპოზიციას არ აქვს სხვა გამოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ცდილობს, ეს ნარატივი შეცვალოს.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლოა თუ არა ცალკეული პარტიები პარლამენტში ვიხილოთ?**

— „ლელოს“ შესვლას აღარ ველოდები და „გირჩი“ შეიძლება შევიდეს. „გირჩი“ მაინც ცდილობს, რომ მარტო არ შევიდეს და ვიღაცასთან ერთად იყოს. რამდენად გამოუვა ეს ამბავი, არ ვიცი.

**— ანალიტიკურ წრეებში საუბრობენ, რომ ოპოზიციამ თავისი თავი შეიყვანა ჩიხში. პარლამენტში არშესვლა შეცდომა იყო, თუმცა ახლა საკანონდებლო ორგანოში შესვლითაც ოპოზიცია საკუთარ თავს ავნებს. ამ შემთხვევაში სად არის გამოსავალი?**

— გამოსავალს ვერ ვხედავ. არ ვიცი, რა გამოსავალი შეიძლება იყოს ამ ვითარებაში, როდესაც ასეთი მოცემულობა არსებობს. ოპოზიციას აქვს ასეთი ამოცანა დასახული კიევიდან, ალბათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათმონ.

**— და, რამდენად გადავა პროცესი ქუჩაში?**

— აუცილებლად გადავა.

**— მიიღებს მასშტაბურ და უწყვეტ სახეს?**

— მასშტაბურ ხასიათს მიიღებს თუ არა, ეს უკვე დამოკიდებულია საზოგადოების დამოკიდებულებაზე, მაგრამ მცდელობა, რომ მასშტაბური სახე ჰქონდეს, რასაკვირველია, იქნება. თუმცა, სულ 3000 კაცი რომ იყოს, მუდმივად იქნება შეტევები სახელმწიფო ორგანიზაციებზე, პიკეტირების მცდელობები და ა.შ. ეს გავლენას ახდენს ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე.

**— ბოლოს მინდა შევეხო, მთავრობის ყოფილი მეთაურის გიორგი გახარიას საკითხს. რა პოლიტიკურ პერსპექტივაზე შეიძლება ვისაუბროთ?**

— გახარიას, რასაკვირველია, აქვს პოლიტიკური პერსპექტივა, მას აქვს გარკვეული რეიტინგი და ამ რეიტინგზე დაყრდნობით შეუძლია ამინდი შექმნას. იქნება თუ არა მისი ეს რეიტინგი გადამწყვეტი და მოახდენს თუ არა ამ რეიტინგის სწორ რეალიზაციას, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული.

ხალხს ისე მობეზრდა გაუთავებელი დავიდარაბა, რომ საზოგადოების გულის მოგება პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან რთულია.



**— რამდენად შექმნის გახარია ახალ „ოცნებას“, რომელმაც შეიძლება ხელისუფლება ჩაანაცვლოს?**

— გახარიამ შეიძლება შექმნას ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ანგარიშგასაწევი იქნება. საწყის ეტაპზე გახარია შეეცდება, რომ არ გადალახოს ის ხაზი, რომელიც პირადად ივანიშვილს შეეხება. ივანიშვილსა და გახარიას აქვთ სხვა დამოკიდებულება.

**— საუბარია იმაზე, რომ გახარიამ სწორედ ივანიშვილის დავალებით შეიძლება შექმნას ახალი პოლიტიკური პარტია...**

— დავალება არ იქნება, დარწმუნებული იყავით. ივანიშვილი სხვა კატეგორიის ადამიანია. მას, ასე თუ ისე, ვიცნობ, განსაკუთრებით პოლიტიკურ სიტუაციაში, ის არასოდეს წავა იმაზე, რომ ვინმემ ჩაანაცვლოს „ქართული ოცნება“. თუმცა, ის, რომ ამ ბრძოლაში არ ჩაერიოს, შესაძლებელია.

**— თუმცა, გავიხსენოთ ბიძინა ივანიშვილის გამოსამშვიდობებელი განცხადება. მას სურს შეიქმნას ერთგვარი ალტერნატივა... რატომ არ შეიძლება ამ განცხადებაში გახარია მოვისაზროთ?**

— არა! ახალი „ოცნება“ შეიქმნება „ოცნების“ წიაღში, გახარია არის „ოცნების“ გარეთ. რესურსი და რეიტინგი აქვს გახარიას, ასევე ამომრჩეველთა ერთი ნაწილის მხარდაჭერა. მესამე ძალა გახდება თუ არა, ამაში ეჭვი მეპარება. მესამე ძალად მოიაზრება ის, ვინც ერთდროულად იქნება „ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრეობის წინააღმდეგ. არ მგონია, რომ ეს ასე იყოს. გახარია შეიძლება იყოს კორექტული ოპოზიცია „ოცნებისა“ და კატეგორიული მოწინააღმდეგე „ნაციონალური მოძრაობისა“.

**ესაუბრა**
**ნიკო ჩოხელი**

# ვინ აგვცრის ნაციონალურ ვი-რუს-ზე?!..

# უპატრონო ეკლესიას სამოქალაქო აქტივისტები შეესივნენ!




**— საბჭოთა კავშირში სექსი არ არის! — ეს იშვიათი ფრაზა ამ 35 წლის წინ ვლადიმერ პოზნერის ტელეხიდში საბჭოთა კავშირი — აშშ ერთმა მაშინდელმა სამოქალაქო აქტივისტმა თქვა, რაც შემდეგ სოციალისტური წყობის და ზოგადად მასობრივი მარაზმის „სავიზიტო ბარათად“ იქცა.**

როცა პოზნერის სტუმრობის გამაპროტესტებელ ამ „სამოქალაქო აქტივისტებს“, „როჟებს“, რომლებიც ყველაფერს აპროტესტებენ იმის გარდა, რაც რეალურად უნდა გააპროტესტონ, სამწუხაროდ, ვრწმუნდები, რომ ეს ფრაზა 35 წლის შემდეგაც მუშაობს და ამჯერად მათი „სავიზიტო ბარათი“ გახდა

თუ არ ვცდები, სერგეი დოვლატოვმა თქვა — მე ოთხ მილიონ რეპრესირებულზე მეტად ის ორი მილიონი „დანოსჩიკი“ უფრო მაშინებსო.

დიახ, მე ვინმე მაქარაშვილის ან ყალბად აღგზნებულ აქტივისტებზე მეტად ის „დამლაიქებლები“ მაშინებენ, რომლებიც გუშინდელი უგვანო ქმედებით აღფრთოვანდნენ და უკანალების ჩვენებით დაწყებული, რაღაც სრულიად შეუსაბამო ქმედებებით დამთავრებული, პატრიოტიზმი ჰგონიათ.

**სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხალხს და მით უმეტეს ნაცებს არც აშშ-ის მოქალაქე პოზნერი აინტერესებთ და საქართველოც სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ (უბრალოდ, მათ გუნდში მყოფი „პოლიტიკოსების“ გამონათქვამებს და ქმედებებს არ გავიხსენებ, რადგანაც ძალიან შორს წაგვიყვანს).**

**ფეხებზე ჰკიდიათ ის უამრავი ქართველი, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, შრომობენ და აქ საქართველოში ოჯახებს არჩენენ.**

**ფეხებზე ჰკიდიათ რუსი ტურისტებისგან მიღებული შემოსავლები, რომლებიც საქართველოში ყველაზე მეტი რაოდენობით არიან წარმოდგენილი (მაგალითისთვის გეტყვით იმ კვლევის შედეგს, რაც ამ ორიოდ წლის წის ბოტანიკურ ბაღში ჩავატარე — შემოსული უცხოელი ტურისტების ფაქტობრივად 2/3 რუსეთიდან იყვნენ).**

მათი უმთავრესი მიზანი არეულობის მოწყობა და დესტაბილიზაციის გამოწვევაა, რადგანაც რატომღაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ ასე მიაღწევენ მთავარ შედეგს — ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.

დიახ, მათ ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნებით, ნორმალური პოლიტიკური ბრძოლით ვერანაირ გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ და ეს მეთოდიღა დარჩათ.

არ დაგიმალავთ და გარკვეულწილად მეშინია ამ ხალხის. იმათი, ვინც ერთი-ერთში ჰგავს იმ აჯანყებულ ბრბოს, რომელმაც ხავილით „მოვკლათ ჯიშიანიაო“, ულამაზესი ცხენი მოკლეს (გრიგოლ რობაქიძე „ჩაკლული სული“).

სამწუხაროდ, ხელისუფლების ლოიალური ან ე.წ. პოლიტკორექტული დამოკიდებულება ამ ბაკქანალიის მიმართ, რბილად რომ ვთქვა, ძალიან გაუგებარია.

ხალხის რეაქცია კი საშიში.

საშიში ისევ და ისევ ქვეყნის განვითარებისთვის.

ცუდი და ქვეყნის ეკონომიკისთვის ცუდი პერსპექტივა უკვე დაანონსდა.

**რუსებმა მკაფიოდ უნდა გაიგონ, რომ მათთვის საქართველოში მოგზაურობა საშიშია“,** — ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

მან კომენტარი გააკეთა რუსი ჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის საქართველოში სტუმრობისას განვითარებულ მოვლენებზე.

**„საქართველოში წასვლა რუსეთის მოქალაქეებისთვის საშიშია. მე თავს შევიკავებდი დიფერენციაციისგან. საუბარია რუსეთის მოქალაქეებზე, რომლებიც იქ იყვნენ. იქ მხოლოდ პოზნერი ხომ არ იყო“,** — განაცხადა პესკოვმა.

მან ასევე კომენტარი გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშილის განცხადებაზე.

**„ჩვენ ვნახეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღევანდელი განცხადება, რომელმაც ასევე დაგმო ეს ქმედებები. ჩვენ მივესალმებით ამ განცხადებას“,** — განაცხადა პესკოვმა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, რომ კრემლი მადლობელია ქართველი პოლიციელების, რომელთაც რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოება დაიცვეს.

ბოლოს კი პესკოვმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება, პოზნერმა დაბადების დღე სახლში, სიმშვიდეში აღნიშნოს.

**„ვულოცავთ პოზნერს დაბადების დღეს. უკეთესია ის სახლში აღნიშნოს. აქ უფრო სიმშვიდეა“,** — განაცხადა პესკოვმა.

სავსებით ზუსტი შეფასება მისცა ამ ამაზრზენ ფაქტს ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა.



**„მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ორმხრივი პროვოკაცია, გავრილოვის ღამე ნომერი ორი.**

**მაშინაც ხოშტარია იყო ამის სათავეში და ახლაც და ის მაქარაშვილი რომ არის, ბელადი, საერთოდ ვინ არის მაქარაშვილი, რომ ჭკუა გვასწავლოს.**

**ჩვენ თუ კულტურული ხალხი ვართ, ისინი რომ ისხდნენ რესტორანში, ჩავიცვამდი, ოღონდ ისე კი არა ბომჟივით, ხოშტარია რომ დადის. შევიდოდი ამ სუფრაზე და ვიტყოდი, “ჩვენ ქართველი ხალხი ვართ, სტუმართმოყვარე, მაგრამ თქვენ, ამდენი ხალხი რომ ჩამოხვედით აქ, მოგწონთ საქართველო, ქეიფი გინდათ აქ, დროისტარება, რატომ ერთხელ არ წამოგცდათ ჩვენ სასიკეთოდ თქვენ ხელისუფლებასთან, თუ რატომ ექცევიან ასე საქართველოს.**

**ეს არის ხალხი? ესენი არიან ბომჟები, ვინ იდგა იქ? ერთი ინტელექტუალური სახე იდგა იქ? ეს იყო რაღაც შპანა და კვერცხების სროლა. დავუშვათ და ვიღაცას მოხვედროდა ის კვერცხი, ან სხვა რამე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ამას გვაპატიებდნენ? აგერ, 40 კილომეტრში დგას რუსის ჯარი“,** — განაცხადა ნელი კობიაშვილმა.

ხელისუფლებამაც გააკეთა შესაბამისი განცხადებები და ნაცებს რუსეთის ინტერესებზე მომუშავე აგენტები უწოდა.

წერილის ბოლოს მინდა ხელისუფლებას მივმართო ფრაზით, რომელსაც ფილმ „დარიკოში“ერთი მოხუცი კაცი ამბობს — **ჯარიც თქვენ გყავთ, ჩაფარიც და ჟანდარმიც. მე ამ ჯოხით სად ვსდიო დარიკოს?**

დიახ, ჩემო ხელისუფლებავ, სუსიც თქვენ გყავთ, პოლიციაც და ჯარიც. ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა როგორ ვსდიოთ რუსეთის აგენტებს?



**გია ბაბრიჭიძე**

**P.S.**

**წერილი უკვე დამთავრებული მქონდა, როცა ზეციურ საქართველოში კიდევ ერთი დიდი ადამიანი გურამ დოჩანაშვილი გადაბრძანდა.**

**დარწმუნებული ვარ, სამოქალაქო საზოგადოების მანტიაში გახვეულმა სატანის მოციქულებმა ნამდვილად არ იციან, ვინ იყვნენ ანზორ ერქომაიშვილი ან გურამ დოჩანაშვილი. არ იციან, თუ რა არის ქვეყნისთვის ერისკაცების წასვლა და ვერც ვერასდროს გაიგებენ. ამიტომ კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას — დაგვიცავით ამ არსებების შემოსევისგან. ქვეყანა დაიცავით. უკვე ამოვიდა ყელში მათი ბინძური შაბაშები. დაამყარეთ წესრიგი. სწორედაც წესრიგი და არა ვითომდა დემოკრატიის ეგიდით შეფუთული მარაზმი.**

**გ.ბ.**

## 11 თაღლითი დააკავეს!

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 11 პირი დააკავეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან: 1992 წელს დაბადებული ჯ.ჰ., 1997 წელს დაბადებული კ.კ., 1999 წელს დაბადებული გ.მ., 1992 წელს დაბადებული გ.გ., 1997 წელს დაბადებული მ.თ., 1994 წელს დაბადებული გ.ლ., 1996 წელს დაბადებული ვ.ნ., 1993 წელს დაბადებული ა.მ., 1997 წელს დაბადებული ა.გ., 1986 წელს დაბადებული ქ.ი. და 1997 წელს დაბადებული გ.ბ. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულები 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ უცხო ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, ავსტრიის, ჩინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ათეულობით მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს. ამ ეტაპისათვის დადგენილი ზიანის ოდენობა შეადგენს 620 000 ევროს.

ამავდროულად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების ნაწილმა მოახდინა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, კერძოდ კი შეიძინეს ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებები და უძრავი ქონებები, რაც გამოძიების მიერ დაყადაღებულია.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ასევე მოძიებულ იქნა და ყადაღა დაედო ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელის — ჯ.ჰ.-ს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ 2 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხასაც.

# „პანდემია უკან დაიხევს და აუცილებლად გავმართავ სოლო კონცერტს რუსთაველებისთვის...“

**რუსთავში ორი რეაბილიტირებული კულტურული სივრცე გაიხსნა. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი და ლიტერატურული სკვერი, ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ, რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინო ლაცაბიძემ და რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ გახსნეს.**

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გურამ დოჩანაშვილის და ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას.

**„მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, მთლიანად გადართულები ვართ სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე, ყველამ ვიცით, რომ დღეს ყველაზე მეტად სწორედ კულტურას გაუჭირდა. დღევანდელი დღე იძლევა იმედს, რომ არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარება, არამედ ხელოვნება და კულტურა არის ჩვენი ქალაქის ნომერ პირველი პრიორიტეტი. დღეს ქალბატონ ელისო ბოლქვაძესთან ერთად ახალ რუსთავში გავხსენით ძალიან ლამაზი ლიტერატურული სკვერი და სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი, რომელიც ევროპული, თანამედროვე და კომფორტული სივრცეა და საშუალებას მოგვცემს ძალიან ბევრი საინტერესო კონცერტი გავმართოთ, კიდევ უფრო გამოვაცოცხლოთ კულტურული ცხოვრება რუსთავში“,** — განაცხადა რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინო ლაცაბიძემ.



**კულტურის ცენტრები რუსთავ-ქალაქში**

ღონისძიების ფარგლებში, ხელოვნების სასწავლებელში შეკრებილმა საზოგადოებამ, კულტურის სფეროში არსებულ პრობლემებზეც იმსჯელა. როგორც ელისო ბოლქვაძემ განაცხადა, სიტუაციის შესწავლა ზედმიწევნითაა საჭირო და არა ზერელედ.

**„უნდა შევისწავლოთ სიტუაცია და კულტურის სამინისტროსთან კოორდინირებულად უნდა მომზადდეს რეფორმა, რადგან აუცილებელია მხარი ავუბათ თანამედროვე მოთხოვნებს კულტურაში. კულტურის კომიტეტის ნომერ პირველი ამოცანა სწორედ ეს იქნება შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში. როცა ასეთი ტრადიციების მატარებელ ქალაქში ასეთი არაჩვეულებრივი საკონცერტო დარბაზის განახლება ხდება, ეს არის დასაწყისი იმ საინტერესო მუსიკალური ცხოვრებისა, რომელიც აუცილებლად ელოდება რუსთავს მომავალში. იმედია, პანდემია უკან დაიხევს და აუცილებლად გავმართავ სოლო კონცერტს რუსთაველებისთვის“,** — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ქალაქის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სკოლა, რომელიც დღეს უკვე ხელოვნების სასწავლებლის სტატუსს ატარებს, ერთ-ერთი ისტორიული დანიშნულების შენობაა რუსთავში და უნიკალური აკუსტიკის მქონე დარბაზის რეაბილიტაცია, მისი გახსნის დღიდან პირველად განხორციელდა. დარბაზის გარდა, სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა სასწავლებლის ფოიეში, მოეწყო გათბობის, ვენტილაციისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, ჩატარდა შიდა სარემონტო და განათება-გახმოვანებისთვის საჭირო სამუშაოები, მთლიანად შეიცვალა სანტექნიკისა და ელექტროგაყვანილობის ქსელიც. სატენდერო პროცედურები უკვე დასრულებულია და ქალაქის მერია უახლოეს მომავალში შენობის ფასადების სარესტავრაციო სამუშაოებსაც დაიწყებს.

**„ორი ძალიან ლამაზი კულტურული სივრცე გავხსენით დღეს რუსთავში. ეს არის ხელოვნების სასწავლებელი, რომელიც რუსთაველებისთვის ისტორიულ მნიშვნელობას ატარებს და ლიტერატურული სკვერი, რომელიც ძალიან საინტერესო კონცეფციითაა შექმნილი. რეკრეაციულ სივრცეში განლაგებულ სკამებს ქართული ანბანის ფორმა აქვს მიცემული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ სტრუქტურას, რომელიც ამ პროექტების განხორციელებაში დაგვეხმარა და მიხარია, რომ პანდემიის პირობებში შევძელით და პროექტები, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქალაქისთვის, განვახორციელეთ“,** — განაცხადა რუსთავის მერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

რუსთავის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 529000 ლარით, ხოლო ლიტერატურული სკვერი, რუსთავის ბიუჯეტიდან, კიდევ ორ მინი რეკრეაციულ სივრცესთან ერთად, 151 000 ლარით დაფინანსდა.

2021 წლისთვის რუსთავში 52 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება.

## ერისთავის თეატრი პრემიერით იწყებს



**თითქმის** ერთწლიანი პაუზის შემდეგ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი მაყურებელს პრემიერით დაუბრუნდა. სპექტაკლი „ვაჟიშვილი“ ფლორიან ზელერის ტრილოგიის პირველი ნაწილია. ის რეჟისორმა დავით ჩხარტიშვილმა სპეციალურად მესამე სივრცის ექსპერიმენტული სცენისთვის დადგა და მას გაგრძელებაც ექნება. დადგმის მოქმედებათა ცენტრში მოზარდია, რომელმაც მშობლების დაშორების შემდეგ საკუთარი თავი და ადგილი ვეღარ იპოვა.

საპრემიერო ჩვენება რეგულაციების დაცვით კიდევ 2 დღეს გაგრძელდება.

# არსებობს საფრთხე, რომ საქართველომ დაკარგოს რეგიონის ავტოჰაბის ფუნქცია!



**ავტობიზნესს იმდენად გაუჭირდა, რომ ეს მთავრობამაც გაისიგრძეგანა. სულ ცოტა ხნის წინ იმპორტიორებისთვის მანქანების განბაჟების ვადა კიდევ ერთხელ გადავადდა, ახლა კი მორიგი საშეღავათო პაკეტი მზადდება. ბიზნესის ამ მიმართულებით მართლაც სერიოზული ჩავარდნაა, რეალიზაცია განახევრებულია და არსებობს საფრთხე, რომ საქართველომ დაკარგოს რეგიონის ავტოჰაბის სტატუსიც.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელები ავტოიმპორტიორი კომპანიის წარმომადგენლებს უკვე შეხვდნენ. მხარეებმა დეტალურად განიხილეს, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ის საკანონმდებლო სიახლეები, რომლებიც ავტოიმპორტიორების მხარდაჭერის მიზნით, ორმხრივი თანამშრომლობის შედეგად განხორციელდება.

საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის გამგეობის წევრის **ალექსანდრე ნონიაძის** თქმით, რამდენიმე ძირითადი ინიციატივა არსებობს, რომელიც ავტოიმპორტიორებს კრიზისულ პერიოდში დაეხმარება.

**„თუ ცვლილებები კანონში აისახა, ავტოიმპორტიორს ავტომობილის რეექსპორტისთვის დამატებითი 90-დღიანი ვადა მიეცემა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ავტომობილი რეექსპორტზე გავა, იმპორტიორი შეძლებს, დადგენილ ვადებში გადახდილი იმპორტის გადასახადი და აქციზის თანხა უკან დაიბრუნოს“,** — განაცხადა ავტოიმპორტიორმა, რომლის შეფასებითაც, საკანონმდებლო ინიციატივა ქვეყანას რეგიონში ავტოჰაბის პოზიციის გამყარებაში დაეხმარება.

**„პანდემიის პირობებში საქართველო კარგავს შანსს, იყოს რეგიონის ავტოჰაბი. დიდი ალბათობით კონკურენციას გაგვიწევს აზერბაიჯანი და უკრაინა. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფომ გადადგას სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯები საკანონმდებლო ინიციატივის დონეზე, რომ ავტოჰაბის პოზიცია არ დავკარგოთ. იდეა არის ასეთი — თუ 90 დღის განმავლობაში ვერ გავყიდე შემოყვანილი ავტომობილი, ის ან უნდა გავუშვა რეექსპორტზე ან უნდა დავასაწყობო, ან უნდა განვაბაჟო. თუ 90 დღის შემდეგ განვაბაჟებთ, ცვლილებების შემთხვევაში, გვეძლევა დამატებითი 90 დღე, რომ ავტომობილი ისევ იდგეს საბაჟო სადგომზე და მას თუ ექსპორტზე გავყიდით, გვექნება შესაძლებლობა, რომ აქციზის თანხა უკან დავიბრუნოთ“,** — განაცხადა „ბიემთან“ ალექსანდრე ნონიაძემ.

ეს ცვლილება შეეხება როგორც უკვე იმპორტირებულ ავტომობილებს, ისე — ახალ ავტომობილებს, რომლებიც მომავალში შემოვა. ამასობაში ევროპაში მანქანები გაძვირდა, რის გამოც იმპორტიორებს ხარჯი გაეზარდათ და ბიზნესის ნაწილი იძულებულია, დროებით შეაჩეროს საქმიანობა, რათა მოვლენებს დააკვირდეს. საქართველოში პანდემიური კრიზისის ფონზე გაყიდვები განახევრებულია.

ავტოიმპორტიორი **ვასო წულეისკირი** ამბობს, მთავრობამ ყველა რესურსი უნდა აამოქმედოს, რათა საშიში ვირუსით გამოწვეული ზარალი მინიმუმამდე შემცირდეს და ბიზნესმა ამ პრობლემის დაძლევა შეძლოს. **„უამრავი იმპორტიორია, რომელსაც დღეს სერიოზული პრობლემა აქვს. რამდენიმე ტიპის შეღავათი მოქმედებდა ბიზნესში, თუნდაც განბაჟების ვადასთან დაკავშირებით, ამან გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს მთავრობამ, რომ ამ სიტუაციიდან ავტოიმპორტიორები ნაკლები დანაკარგით გამოვიდნენ, როგორც ეს ხდება ყველა განვითარებულ ქვეყანაში.**

**რამდენადაც ვიცი, ავტომობილების რეექსპორტი ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით და მხარდაჭერა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. ყველანაირი ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ კომპანიებს, რომ არ გაკოტრდნენ. მთავარია, ვირუსის კუთხით სიტუაცია დასტაბილურდეს და ეს ბიზნესმაც იგრძნოს“,** — განაცხადა ავტოიმპორტიორმა.

**ბექა დანელია**



# სჯობს, ნოსტალგიამ მოგკლას, ვიდრე სამშობლოს სიძულვილმა...

## თავგადასავალი სტალინური პრემიის ლაურეატისა

ესოდენ ტრიუმფალური დებიუტი, ალბათ, არავის ჰქონია საბჭოთა მწერლობაში, სადაც ლამის აკრძალული იყო სენსაციები და ცისარტყელათა მოვლინება მრუმე ზეცაში.

ფართო მკითხველისთვის სრულიად უცნობი კაცი, ერთ მშვენიერ დღეს, პოპულარულ მწერლად მოევლინა ორასმილიონიან ქვეყანას.

პირველივე ცდა კალმისა დააჯილდოვეს სტალინური პრემიით!

იდგა 1947 წელი.

მოსკოვის ლიტერატურულ ჟურნალ „ზნამიას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვიქტორ ნეკრასოვის რომანი „სტალინგრადი“(თუკი შეიძლება რომანი ეწოდოს საბჭოთა ოფიცრის საფრონტო დღიურს).

ლიტერატურული წრეები დაბნეულობამ შეიპყრო. ვიქტორ ნეკრასოვის ნაწარმოები საგრძნობლად გამოირჩეოდა სხვათაგან, სოცრეალისტურ კონვეიერში ვერ თავსდებოდა. ოფიციალურ კრიტიკას უკვე კარგა ხანია ეუცხოებოდა ამგვარი თხზულებანი (თუკი ისინი, გამონაკლისის სახით, დღის სინათლეს იხილავდნენ). სამასგვერდიან რომანში ერთხელაც არ იყო ნახსენები მშობლიური პარტია, კომუნიზმი და მხოლოდ ორიოდე სიტყვა ეთმობოდა სტალინს.

თავგზააბნეულ საზოგადოებას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ჟურნალ „ზნამიას“ რედაქტორი იყო ვსევოლოდ ვიშნევსკი - საბჭოთა მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც კარგად იცოდა, რა უნდა დაებეჭდა თავის ჟურნალში და რა არ უნდა დაებეჭდა. დიახ, ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, ვიშნევსკის არაფერი შეეშლებაო, მაგრამ...

ამასობაში ზემოხსენებული ჟურნალის განყოფილების გამგე, ცნობილი კრიტიკოსი, ყველას აღტაცებით უამბობდა ვიქტორ ნეკრასოვის შესახებ: “უბრალო ოფიცერია, ნაომარი, დაჭრილი. პროფესიით – არქიტექტორი. სოციალისტური რეალიზმი არც კი გაუგონია. უსათუოდ წაიკითხეთ“.

სოცრეალიზმთან მართლაც მწყრალად იყო. აღმერთებდა რემარკს და ჰემინგუეის.

მაგრამ, იმავდროულად, გამოხმაურებათა უმეტესობაში თავშეკავებით აღნიშნავდნენ, რომ ეს არის ოფიცრის ნაამბობი, დიახაც უტყუარი სინამდვილე, მაგრამ ყველაფერი სანგრიდანაა დანახული და ავტორი ბრუსტვერს იქით ვერაფერს ხედავსო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოები წარადგინეს სტალინურ პრემიაზე. პრემიათა კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი, ავტორი რომანისა „ახალგაზრდა გვარდია“ ალექსანდრე ფადეევი სკეპტიკურად უყურებდა ვიქტორ ნეკრასოვის ქმნილებას და მას „მცოცავი რეალიზმის“(რას ნიშნავს ეს ტერმინი?) ნიმუშად მიიჩნევდა. სწორედ მან ამოშალა ნეკრასოვის გვარი პრემიის პრეტენდენტთა სიიდან. მაგრამ მეორე დილით ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა ახალგამომცხვარ ლაურეატთა შთამბეჭდავი სია, სადაც ნეკრასოვმა თავისი გვარი ამოიკითხა და თავისი ფოტოსურათიც იხილა „პრავდის“ და „იზვესტიის“ ქათქათა ფურცლებზე.

ფიქრობდა, ხომ არ მესიზმრებაო.

სასწრაფოდ ეწვია ჟურნალ „ზნამიას“ რედაქციას.

ჟურნალის რედაქტორმა ვიშნევსკიმ ჩაკეტა თავისი კაბინეტის კარი, გამორთო ტელეფონი და ჩურჩულით აუწყა იღბლიან დებიუტანტს:

– „შენი აღდგენა სიაში ერთადერთ კაცს ძალედვა.

იმ „ერთადერთ კაცს“, ჩანს, წაკითხული ჰქონდა „სტალინგრადის სანგრებში“ და ძალიანაც მოსწონდა.

როგორც სარწმუნო წყაროებშია აღნიშნული, სტალინური პრემიების მინიჭებისას სტალინს, შეიძლება თქმა, ნაკლებად აღელვებდა კინო და თეატრი, მხატვრობა და მუსიკა, მაგრამ მხატვრული ლიტერატურა თავის პერსონალურ კარ-მიდამოდ მიაჩნდა და მას ვერ იმეტებდა თავის უგანათლებულეს ხელქვეითთა საჯიჯგნად.

რა გაეწყობა, მიუხედავად პიროვნების კულტის სავალდებულო დაგმობისა, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ უყვარდა და მშვენივრადაც ესმოდა მხატვრული ლიტერატურა, რასაც უამრავი მაგალითი ადასტურებს, მაგრამ ამჯერად ვიკმაროთ ის ფაქტი, რომ ვიქტორ ნეკრასოვის რომანი, მკაცრად დაწუნებული ფადეევის მიერ, სტალინმა ლამის სანაგვე ყუთიდან ამოქექა და როგორც პრემიების კომიტეტის უმაღლესმა თავმჯდომარემ (უმაღლესი მთავარსარდლისა არ იყოს) სტალინური პრემია მიანიჭა.

ვიქტორ ნეკრასოვის რომანს ერთადერთი ნაკლი ჰქონდა – სტალინი, იმ დროის კვალობაზე, სათანადოდ არ იყო ხოტბაშესხმული.

მოყოლებული იმ დღიდან, ვიქტორ ნეკრასოვის რომანი იქცა ნიმუშად, სამაგალითო ნაწარმოებად. მთელი საბჭოეთის გამომცემლობანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მალე და უფრო დიდი ტირაჟით გამოსცემდა სტალინური პრემიით დაჯილდოებული ავტორის პირველ ქმნილებას. მერე ხელახლა უნდა გამოეცათ, ეთარგმნათ ყველა საბჭოთა თუ არასაბჭოთა ენებზე. კრიტიკოსები ქებას არ იშურებდნენ. აღარ ახსოვდათ, რომ სტალინური პრემიის მინიჭებამდე „პაციფიზმის“ და „რემარკიზმის“ ბრალდებას უყენებდნენ ახალბედა ავტორს.

წიგნად გამოცემულ რომანს სათაური მაინც შეუცვალეს: ასეთი ამაღლებული და მრავლისმთქმელი სათაური არ დაუმსახურებიაო. დაარქვეს „სტალინგრადის სანგრებში“. გააუბრალოეს. ეს იყო და ეს.

არა, კიდევ იყო ცდილობა „შელამაზებისა“.

ქალბატონმა ცენზორმა დაიბარა ახალგამომცხვარი ლაურეატი და მოწიწებით მიმართა: „თქვენ საუცხოო წიგნი დაგიწერიათ ომზე, მაგრამ კარგად გამიგეთ, ვბედავ, მოგახსენოთ, ეს ხომ სტალინგრადია! თქვენ გმირულად იცავდით ქალაქს, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს. ახლა კი მხოლოდ და მხოლოდ ორიოდე სტრიქონი გაგიმეტებიათ სტალინისათვის. სტალინგრადი - უსტალინოდ?! ეს ხომ გაუგონარი რამ არის. რაღაცნაირად უხერხულიც კია. ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი! ეგებ აღგეწერათ სხდომა ამხანაგ სტალინის კაბინეტში – ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი მთავარსარდალი იყო. სულ ორი-სამი გვერდი საკმარისი იქნება, თუ შეიძლება, კარგად გამიგეთ“.

მოკრძალებით ელაპარაკებოდა სტალინური პრემიის ლაურეატს. სხვა რომ ყოფილიყო ვიქტორ ნეკრასოვის ადგილზე, თუნდაც მასზე ხნიერი და ცნობილი, ბდღვირს გაადენდა.

ვიქტორ ნეკრასოვი არ დაბნეულა და თავი მოისულელა: მე მწერალი არ გახლავართ, ფრონტელი ოფიცერი ვარ. მარტო იმაზე ძალმიძს წერა, რაც მინახავს და ვიცი, ამხანაგი სტალინი კი ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ შემხვედრიაო, არც მის კაბინეტში შემიდგამს ფეხი და მკითხველს სხდომა აბა რანაირად ავუწეროო?!

რა უნდა ეთქვათ ლაურეატისთვის? ცდილობა უშედეგო და უნაყოფო გამოდგა.

ათიოდე წლის შემდეგ „ვოენიზდატის“ გამომცემლობის დირექტორი იბარებს ვიქტორ ნეკრასოვს და ეუბნება:“პატივცემულო ვიქტორ პლატონოვიჩ, აგერ ჩვენ ხელახლა უნდა გამოვცეთ თქვენი რომანი. კარგი წიგნია ომზე, მაგრამ იქ ერთ ადგილას ახსენებთ სტალინს, ეგებ წაგეშალათ?“

არაო, კატეგორიულად განუცხადებია ვიქტორ ნეკრასოვს. სტალინის თავგადაკლული თაყვანისმცემელი არა ვარ, მაგრამ რაც იყო, ასე იყო. ჯარისკაცებიც ახსენებდნენ და ოფიცრებიც. რატომ უნდა წავშალო? სიმართლეს რატომ უნდა ვუღალატო? მოდი, დავტოვოთ.

რა უნდა ექნათ? მოიღეს მოწყალება და დატოვეს.

ახლა დავიმოწმოთ ის ფრაგმენტი, რომელიც ლამის მკრეხელობად გამოიყურებოდა ავად (თუ კარგად?) სახსენებელი XX ყრილობის შემდეგ. ერთგვარ წინააღმდეგობას უწევდა პარტიის ახალ კურსს, დამთხვეული ხრუშჩოვის მიერ დაგეგმილ მზის ამობრწყინებას.

აი, ეს ფრაგმენტიც ვიქტორ ნეკრასოვის რომანიდან „სტალინგრადის სანგრებში“.

„შირიაევი ჩუმდება. ერთ წერტილში, თვალწინ, თვალები მიუშტერებია. ტელეფონის ყურმილიდან ისმის ვიღაცის ლანძღვა-გინება.

– და მაინც, როგორი ნებისყოფა აქვს, არა? – ამბობს შირიაევი.

– თვალებს ზევით ისევ არა სწევს.

– ღმერთმანი...

– ვისაო, ვისა აქვსო? – მომკალით, ვერა და ვერ გამიგია, ვის ნებისყოფას გულისხმობს.

– ცხადია, სტალინს. როგორია, ორი ასეთი უკანდახევა შეაკავო. აბა, წუთით წარმოიდგინე! ორმოცდაერთში და აი, ახლაც. მაშინ მოსკოვს ხომ არ მიაკარა. ერთი დარტყმით გარეკა იქაურობიდან. და აქაც მაგრად დავდექით. რა ხანია, აქედან ფეხს არ ვიცვლით? უკვე მესამე თვეა, ხომ? და გერმანელები ვერაფერს გვაკლებენ მთელი თავიანთი „იუნკერსებით“ და „ჰეინკელებით“. და ეს ხდება გარღვევის შემდეგ. მერე და როგორი გარღვევის შემდეგ! ივლისის მწარე დღეების შემდეგ... გესმის, რა დღეში ჩავარდა, ჰა? შენ როგორა ფიქრობ? უკვე მეორე წელია, რაც ჭაპანწყვეტაში ვართ. იმან კი ყველას მაგივრად უნდა იფიქროს. ჩვენ აგერ სულ რაღაც ხუთასექვსასი მეტრი გვიჭირავს და თავბედს ვიწყევლით. აქ ასე არ უნდა იყოსო, იქაც ცუდადაა საქმეო, ტყვიამფრქვევიც ჩაჭედილაო. იმას კი მთელი ფრონტი აბარია. გაზეთის წაკითხვასაც კი, ალბათ, ვერ ასწრებს. კერჟენცევ, შენ როგორა გგონია, ასწრებს თუ არა?

– არ ვიცი, ასე მგონია, რომ მაინც ასწრებს.

– ასწრებსო, ეგრე გგონია? ვაგლახ, მე კი მგონია, რომ ვერ ასწრებს. შენ კარგად მოყუჩებულხარ აქა. ზიხარ ბლინდაჟში, მახორკას აბოლებ. რამე არ მოგეწონება და გამოძვრები, დედის სულს დაუტრიალებ ვინმეს, ხანდახან პისტოლეტითაც დაემუქრები... და ყველაფერსაც სათითაოდ იცნობ, ყოველ გორაკს, ყოველ ბორცვს შენი თვალით თავად მოჩხრიკავ. იმას კი რა მოეპოვება? რუკა? რუკაზე კი პატარ-პატარა ალმები. მიდი და არკვიე, სად რა არი. და ყველაფერი მაგრად უნდა დაიხსომო – სად ვუტევთ და სად გავმაგრდით, სად კიდევ უკან ვიხევთ. და ახლა შეხედე, ხელში უჭირავს, ხელში-მეთქი, მთელი ფრონტი ხელში უჭირავს და გამარჯვებამდეც მიგვიყვანს. აი, ნახავ, ნაღდად მიგვიყვანს... შირიაევი წამოდგება, – „კარნაუხოვ, დაუკარი რამე“.

– კარნაუხოვი კედლიდან გიტარას ჩამოიღებს. წინა დღეს ბატალიონის მზვერავებს უპოვიათ რომელიღაც სახლის ნანგრევებში.

– „დაუკარი რამე გულიანი...“

– აი, ეს არის და ეს.

ამ ტექსტის ამოღებას მოუწოდებდნენ სტალინური პრემიის ლაურეატს? ენით აუწერელ ვაი-ვაგლახში გაზეთის წაკითხვას ასწრებს თუ ვერ ასწრებსო? ეს უნდა ამოეღო სტალინური პრემიით განებივრებულ მწერალს?

ფხიზელ ცენზორებს უკიდეგანო სიბრძნისა და ძალმოსილების მჭევრმეტყველ ნიშნად მოეჩვენათ? გაზეთის წაკითხვას ასწრებს თუ ვერ ასწრებსო – ამაზე მსჯელობენ სტალინგრადის დამცველი მეომრები, უბრალო სიტყვებითა და უბრალო, დამიწებული განწყობილებით. იმას კი არ გაიძახიან, თუ რაოდენ დიდი ბედნიერებაა, თავს რომ გევლება ხალხთა მამა, ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის შემძლე (როგორც ღაღადებდა ნიკიტა ხრუშჩოვი ამომრჩევლებთან შეხვედრაზე 1937 წლის დეკემბერში).

მადლობა ღმერთს, ე.წ. დიდ სამამულო ომში ნაომარმა, ერთხელ დაჭრილმა და ორდენ-მედლებით არაერთხელ დაჯილდოებულმა ნეკრასოვმა ვაჟკაცურად გაუძლო მედროვეთა შემოტევას და ერთი სტრიქონიც არ წაუშლია თავის რომანში.

თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა მწერალს დასავლეთშიც აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

„სტალინგრადის სანგრებში“, თავის დროზე, ოთხჯერ გამოუციათ საფრანგეთში, ხუთჯერ – ინგლისში. ამერიკაში რამდენჯერ გამოსცეს, აღარ მახსოვსო, ეუბნება ვიქტორ ნეკრასოვი ცნობილ ამერიკელ სლავისტს, ჯონ გლედს თავის ინტრვიუში 1981 წელს.

60-იანი წლების დამდეგს სახელოვანმა მწერალმა იმოგზაურა იტალიასა და შეერთებულ შტატებში. მერე თავისი აღფრთოვანებული შთაბეჭდილებანი გაუზიარა საბჭოთა მკითხველს (სხვათა შორის, ჟურნალ „ნოვი მირის“ იმ ნომერში, სადაც გამოქვეყნდა, აგრეთვე, სოლჟენიცინის გახმაურებული მოთხრობა „ერთი დღე ივან დენისოვიჩისა“, რომელმაც კინაღამ ლენინურ პრემიას არ გამოჰკრა ხელი).

დასავლეთის „ტკბილი ცხოვრებით“ ხანმოკლე ტკბობა მწარედ აზღვევინეს ვიქტორ ნეკრასოვს.

პირადად ხრუშჩოვმა სახელმწიფოს ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან საქვეყნოდ გათათხა სტალინური პრემიის ლაურეატი: ეს ნეკრასოვი არ გეგონოთ დიდი რუსი პოეტი ნეკრასოვი, მხოლოდ მოგვარეა მისი და არცხვენსო. ეს ნეკრასოვი ხალხის მტერია. კაპიტალისტებთან შერიგებამორიგებას გვიპირებსო.

ასე დაიწყო მწერლის ტანჯვა-წვალება.

საბოლოოდ, 1974 წელს პარტიიდან გარიცხეს სტალინგრადის ბრძოლის გმირი და სტალინური პრემიის ლაურეატი.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღეო, განაცხადა მწერალმა. პარტიაში კარიერისტული მიზნებით როდი შევსულვარ, სტალინგრადის ცხარე ბრძოლების დროს შევედიო.

იმავე წლის 12 სექტემბერს ვიქტორ ნეკრასოვი, სოლჟენიცინის კვალდაკვალ, საბჭოთა კავშირიდან გააძევეს.

გაცილებისას ერთმა ძველმა მეგობარმა უთხრა: „თვალებში შეაფურთხე იმას, ვინც გეტყვის, უცხოეთში ნოსტალგია გელოდებაო. მე მგონი, სჯობს, რომ ნოსტალგიამ მოგკლას, ვიდრე სამშობლოს სიძულვილმა“.

გარდაიცვალა პარიზში 1987 წელს. იყო 76 წლისა.

მოამზადა

**ლაშა გიორგაძე**


ქუთაისის საკრებულოსა და მერიაში ჟურნალისტთა მიღებაზე

# უხნესი ქალაქის მემატიანე!

**ქვეყნის უძველესი ქალაქისთვის 3 აპრილი გამორჩეული დღეა. 100 წლის წინათ სწორედ ამ დღეს დაიბადა მისი დიდი მემატიანე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ქუთაისი“. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სტატიები და ფოტოები, ჟურნალისტების გვარ-სახელები, ის ფართომასშტაბიანი შემოქმედებითი საქმიანობა, რასაც ყოველდღიური გამოცემა მკითხველების ინფორმირებისათვის ასრულებდა.**

იმის მიუხედავად, რომ დიდი ხნის მანძილზე გაზეთი საბჭოთა იდეოლოგიის პლატფორმაზე იდგა და მთავარი სახელისუფლო ორგანო იყო, მხოლოდ პროპაგანდისტულ სტატიებსა და დოკუმენტებს როდი აქვეყნებდა.მის ფურცლებზე აქტიურად აისახებოდა ქალაქის მნიშვნელოვანი ტრადიციები და ყოველდღიური მაჯისცემა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცვლილებები, კულტურისა და განათლების სიახლეები; იბეჭდებოდა ლიტერატურულ-შემეცნებითი პროდუქცია, დასტურდებოდა უამრავი გვარ-სახელი, ისტორიული ფაქტები, მკითხველთა საყვარელი რუბრიკები.

გაზეთმა სახელწოდება არაერთხელ შეიცვალა. მისი „ბიოგრაფია“ ასეთია. 1921 წლის 3 აპრილს გამოვიდა საქართველოს საგუბერნიო რევკომისა და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ორგანოს „მუშა და გლეხის“ პირველი ნომერი. მას შემდეგ 1924-25 წლებში დაერქვა „წითელი ვარსკვლავი“, 1930-32 წლებში — „ლენინის გზით“, 1932-34 წლებში -„მუშა და კოლმეურნე“, 1934-38 და 1952-61 წლებში — „სტალინელი“, 1938-52 წლებში — „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1961-2011 წლის ჩათვლით კი თავის ყველაზე საპატიო და მნიშვნელოვან სახელს — „ქუთაისს“ ატარებდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორგანო — გაზეთი „ქუთაისი“ რედაქციის ჟურნალისტთა თაოსნობითა და ძალისხმევით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებელი საქალაქო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა.



„ქუთაისმა“ განვლო ურთულესი და გრძელი, წინააღმდეგობრივი გზა, მაგრამ სხვადასხვა დროის ჟურნალისტთა ნიჭიერი თაობების დიდი მცდელობით იგი მკითხველთა საყვარელი გაზეთი გახლდათ, ხალხის სიხარულის, ტკივილისა თუ პრობლემების უშურველად გამზიარებელი, სიახლეთა მაცნე და დიდი მატიანის შემკრები.

რედაქციასთან აქტიურად თანამშრომლობდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია. გაზეთს ჰყავდა სხვადასხვა პროფესიის მრავალი შტატგარეშე კორესპონდენტი.

ისიც რად ღირს, რომ პირველად აქ, ამ გაზეთში იბეჭდებოდა ლადო ასათიანისა და მრავალი ცნობილი ავტორის ნაწარმოებები. გალაკტიონის შედევრი „ნიკორწმინდაც“ (ასე ერქვა თავდაპირველად) სწორედ „ინდუსტრიული ქუთაისის“ 1947 წლის 30 აგვისტოს ნომერშია გამოქვეყნებული.

გაზეთის კომპლექტები უმნიშვნელოვანეს დოკუმენტურ მასალას იძლევა სპეციალისტებისა და დაინტერესებული მკითხველებისათვის. ამის გათვალისწინებით ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ დაიწყო გაზეთ „ქუთაისისა“ და მისი წინაპარი გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა, უკვე დაიბეჭდა ორი მოზრდილი ტომი, დასაბეჭდად მზადდება მესამე და დაწყებულია მუშაობა მეოთხეზე.

სამწუხარო გარემოებათა გამო 2011 წელს „ქუთაისმა“ შეწყვიტა გამოსვლა. მის მიერ აღზრდილი ჟურნალისტები დღეს სხვა საინფორმაციო საშუალებებში ან სხვა სფეროში საქიანობენ, მაგრამ არა თუ მათ, არამედ არც გაზეთის ერთგულ მკითხველებს არასდროს ავიწყდებათ საზოგადოებრივ მაჯისცემაზე მიყურადებული ქუთაისის დიდი მემატიანე.



**ნანული ცხვედიანი,**
**მრავალი წლის მანძილზე „ქუთაისის“ წამყვანი თანამშრომელი, ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაკი**

# ეღირსება ქალაქს თავისი გაზეთი?

**მრავალ სხვა ჟურნალ-გაზეთივით, საკუთარ ჭერწართმეულ და უმოწყალოდ დარბეულ გაზეთ „ქუთაისს“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 100 წელიწადი შეუსრულდა.**

„თბილისის“, „სოფლის ცხოვრების“, „ახალგაზრდა ივერიელის, „შანსის“ და უამრავი სხვა ბეჭდვითი ორგანოს მსგავსად ვის უშლიდა ხელს პოპულარული, დღეისათვის წარმოუდგენელი, 50-ათასიანი ტირაჟით გამომავალი საქალაქო გაზეთი, რომ არა მხოლოდ მის მიერ აშენებული გამომცემლობის შენობიდან გამოაგდეს, არამედ მისი უმდიდრესი ფოტო და დოკუმენტური არქივიც გაუნადგურეს?

ამ კითხვის პასუხი ძნელი არ არის, თუ თუნდაც სულგანათლებულ რეზო ინანიშვილის იმ სიტყვებს გავიხსენებთ, რომლითაც ჯერ კიდევ 1990 წლის 17 აგვისტოს უდიდესი შეფასება მისცა გაზეთის მიერ კარბიდის ქარხნის მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

„თამამად შემიძლია ვთქვა, მე არ მახსოვს ჩვენი პრესის მხრიდან ასეთი თვალნათლივი, გაბედული და კატეგორიული გამოსვლა იმ „საქმიანი წრეების“ წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად თავჩაღუნულნი საკუთარ ბაგაში ვერ ამჩნევენ, ან უფრო სწორად, არ უნდათ შეაჩნიონ, თუ რა ავ საქმეს უკეთებენ ჩვენს დედამიწას, პირველ რიგში ადამიანებს, თვით თავიანთ თავსაც კი. — ბრძანებდა და ჟურნალისტებს გვირჩევდა: არ ენდოთ ზოგად დაპირებებს, რა ადმინისტრაციული სიმაღლეებიდანაც არ უნდა მოდიოდეს ისინი... ძალიან აშკარაა, ქუთაისს არ სჭირდება კალციუმის კარბიდის ქარხანა. ყველანი გავუფრთხილდეთ მშვენიერ ქუთაისს!“

მას შემდგომ, რაც დაურბიეს და ქალაქს წაართვეს მისი ყოველდღიური გაზეთი, სამწუხაროდ, ბევრი რამ დაგვაკლდა და სათანადოდ ველარ გავუფრთხილდით მშვენიერ ქუთაისს. მრავალთა შორის დაგვაკლდა „ელექტრომექანიკური“ ქარხანა, რომელმაც სხვებთან შედარებით ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა სიცოცხლე და საექსპორტო პროდუქციით უცხოეთიდან ვალუტა შემოჰქონდა; დაგვაკლდა აბრეშუმის გაერთიანება, რომელსაც საწარმოებსა და სამეცნიერო ზონალურ სადგურში 15 ათასი თანამშრომელი ემსახურებოდა, დაგვაკლდა საავტომობილო, სატრაქტორო და ბევრი სხვა ფაბრიკა-ქარხანა.

ამ და ფუნქციადაკარგული უძველესი ქალაქის ბევრ სატკივარზე ჰქონდათ საუბარი „ქუთაისის“ ყოფილ თანამშრომლებს და მათ გულშემატკივრებს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 100 წლისთავის დღეს და ერთმანეთის ნახვას დანატრებულებმა გამოთქვეს იმედი, რომ „თვალნათლივი, გაბედული და კატეგორიული გამოსვლებით“ გამორჩეული გაზეთი 10 წლის „სალათას ძილის“ შედგომ აუცილებლად აღდგება.

ღმერთმა ინებოს, ამჯერად მაინც გაუმართლოს ქუთაისსა და მის სეხნიას!



**ალექსანდრე შენგელია,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

## „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისგან:

**3 აპრილს ქუთაისის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელთა ინიციატივით მოეწყო შეხვედრა გაზეთ „ქუთაისის“ ყველა თაობის ჟურნალისტებთან. ქუთაისის მერის, ბატონი იოსებ ხახალეიშვილის გულწრფელი აღიარებით, ამ უძველესი ქალაქის ბრწყინვალე მემატიანის, გაზეთ „ქუთაისის“ უსახსრობის გამო დახურვა ყველას საერთო სირცხვილია და ქალაქის ხელმძღვანელობა მონდომებით იზრუნებს ასწლოვანი გაზეთის აღსადგენად!..**

**ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ქუთაისელო კოლეგებო და ქალაქის ღირსეულო თავკაცებო!..**

# ნამახვანჰესის აშენების მოწინააღმდეგეთა აქცია

**ნამახვანჰესის აშენების მოწინააღმდეგეები სოფელ გუმათში აქციას მართავენ. ისინი მოითხოვენ, გათავისუფლდეს გზის სავალი ნაწილი, რომელიც სამართალდამცველებს ორივე მხრიდან აქვთ ჩაკეტილი და ავტომანქანებს გადაადგილების საშუალება არ ეძლევათ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მათ სურთ, რომ მოსახლეობამ კარვებამდე გადაადგილება შეძლოს.**

ადგილზე მობილიზებული იყო დიდი რაოდენობით სამართალდამცველი. ასევე, წყლის ჭავლის მანქანა და სპეციალური დანიშნულების რაზმი.

აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვარლამ გოლეთიანმა განაცხადა, რომ არ აპირებენ სამართალდამცველებთან დაპირისპირებას და შესაბამისად, გადაწყვიტეს, რომ მეორე კარავი განათავსონ სოფელ გუმათთან, სადაც ასევე იქნებიან საპროტესტო აქციის მონაწილეები. მან განმარტება სთხოვა პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელს, თუ რატომაა გზა ჩაკეტილი, რის საპასუხოდაც, სულხან თამაზაშვილმა განუმარტა, რომ ამის მიზეზი მოქალაქეთა დიდი რაოდენობა და ესკალაციის საფრთხეა. მისივე განმარტებით, გზა კანონის შესაბამისად, უსაფრთხოებიდან გამომდინარე გადაიკეტა. სულხან თამაზაშვილის განცხადებით, აქციის მონაწილეთა რაოდენობის შემცირებისა და საფრთხის მოხსნის შემდეგ ყველა შეძლებს პროტესტის კარვებში გაგრძელებას.



# პოლიციას ვთხოვთ, დაიცვას ჩვენი თანამშრომლების ფიზიკური უსაფრთხოება...

**პოლიციას ვთხოვ, დაიცვას ჩვენი თანამშრომლობის ფიზიკური უსაფრთხოება, სახალხო დამცველს კი— მათი ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტების შესწავლისკენ მოვუწოდებ. გუშინ „ენკა რინიუებლზის“ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც წინასამშენებლო სამუშაოებს ახორციელებენ, სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობს. ჩვენი თანამშრომლების დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეები და იმ ადამიანთა მეზობლები არიან, რომლებიც პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგებიან. მათ და მათი ოჯახის წევრებს პროექტის მოწინააღმდეგეების სახელით უკავშირდებიან და ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან. ჩვენ აუცილებლად გადავცემთ მსგავს ფაქტებს სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე მოვუწოდებთ სახალხო დამცველს, ამ საკითხითაც დაინტერესდეს, — განაცხადა ნორვეგიულ-თურქული კომპანიის „ენკა რინიუებლზის“ ახალდანიშნულმა დირექტორმა მერაბ ლომინაძემ.**

# „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა“...



## თავი 3
### კულტურა და საზოგადოება

...ომი კლავს იმედით სავსე ადამიანის ცხოვრებას, ადამიანს ყოვლის უფრორე დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს, აიძულებს სხვა ადამიანთა კვლას, რისი ქმნაც მას თვითონ არა სწადს, ომი ანადგურებს უდიდეს მატერიალურ ფასეულობებს, ადამიანის შრომის შედეგებს, როგორც რომ ბევრ სხვა რასმე.

* * *

პირდაპირ გაკვირვებას იწვევს, რატომ დღემდე არ არის უარყოფილი საომარი მოქმედებანი ადამიანთა საერთო შეთანხმებისა და მორიგების გზით.

* * *

როს ადამიანთ საომრად იწვევენ, იმათი სულის არაერთი სწრაფვა ამ გაწვევას თანხმობას უცხადებს, სწრაფვანი როგორც რომ კეთილშობილურია, ბევრია ამაზრზენიც, რომელთა შესახებაც ერთნი ხმამაღლა ლაპარაკობენ, ხოლო მეორენი, რომელთა შესახებაც დუმან... იმათ შორის, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს აგრესიისადმი და ნგრევისადმი მიდრეკილებას; ისტორიისა და ამჟამინდელი დღეების აურაცხელი სისასტიკე მხარს უჭერს ამ სწრაფვასა და იმისავე ძალას.

* * *

ვიდრე არსებობენ მდიდრები და ცალკეული ერები, რომელთაც სხვა ერების განადგურება ძალუძთ, ეს სხვა ერები მზად უნდა იყვნენ შეიარაღებული ბრძოლისთვის.

* * *

ომების თავიდან აცილება, ალბათ, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ადამიანები გაერთიანდებიან ცენტრალიზებული ხელისუფლების დასამყარებლად, რომელი ხელისუფლებაც იმის უფლებას მოიპოვებს, რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს მიზანთა სხვაობიდან გამომდინარე სუყოველი კონფლიქტი.

* * *

მიზანთა კონფლიქტი ადამიანთა შორის ძალის საშუალებით წყდება. აგრე ხდება სუყოველ ცხოველთა სამყაროში, რომლისგანაც გამოყოფის უფლება ადამიანს არა აქვს; ადამიანთ ემატებათ მარტოოდენ მოსაზრებათა კონფლიქტი, რაიც აბსტრაქციის უმაღლეს მწვერვალებამდე იჭიმება და, როგორც ჩანს, ითხოვს თავისი გადაწყვეტის სხვა ხერხთ.

* * *

ჯარისკაცი თავის მეთაურს, სახელდობრ მხედართმთავარს, იდეალად რომ მიიჩნევს, იმავდროულად თავს თავის თანაბარ ჯარისკაცთ უტოლებს, რათა, ამ ერთობიდან გამომდინარე, ამხანაგური ურთიერთობით დახმარების ხელი გაუწოდოს და სუყოველი სიკეთე გაუყოს. ოღონდ ძალიან სასაცილო ხდება, როცა თავის გატოლება მხედართმთავართან უნდება.

* * *

შეიძლება, რომ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ტყვია ერთსა ხვდება, ხოლო მეორეს გვერდს უვლის, თუმცაღა დახოცილთა დახორავება ეგრევე წყვეტს შემთხვევითობის ამ შეგრძნებას.

* * *

ქცევის არცრა სხვა ხერხი ისე მტკიცედ არ აჯაჭვავს ინდივიდს რეალობასთან, როგორც რომ შრომაზე ორიენტაცია, რათა საიმედოდ რთავს ამ ხერხს ადამიანთა საზოგადოების თუნდაც ერთ ნაწილში.

* * *

ადამიანთა დიდი უმრავლესობა მხოლოდ აუცილებლობის კირთებაში ირჯება, და ადამიანთა ეს ბუნებრივი მტრობა შრომის მიმართ ურთულეს სოციალურ პრობლემებს ქმნის.

* * *

დღესასწაული ნებადართული, მეტიც – აუცილებელი ექსცესია, აკრძალვათა საზეიმო დარღვევაა. იმიტომ კი არა, რაკი სამხიარულოდ განწყობილი ადამიანები რაღაც დანიშნულებას ასრულებენ და ზედმეტს რასმე სჩადიან, არა, იმიტომ, რომ ექსცესი, ანუ ლხინის ნორმალური მიმდინარეობა დღესასწაულის აზრს შეადგენს.

* * *

დღესასწაულის შეგრძნება ჩვეულებრივ აკრძალულის ნებადართულობაა.

* * *

...როგორც რომ ბრალეულს, ისე იმის მიმართ შურისმაძიებელ საზოგადოებას მსგავსი სულიერი სწრაფვანი აქვთ.

* * *

განდეგილი სამყაროს გაურბის, არ უნდა იმასთან რაიმე საერთოს ქონა, მაგრამ მეტის ქმნაც შესაძლებელია, შეიძლება იმის გარდაქმნის ცდა, იმის ადგილას სხვა სამყაროს ჩამოყალიბება, სადაც გამორიცხული იქნებოდა იმისი აუტანელი თვისებები და საკუთარ სურვილთა შესატყვისი თვისებებით შეცვლა. სასოწარკვეთის მოძალებისას ბედნიერებისკენ მიმავალი ასეთი გზა, როგორც წესი, არსაით მიდის; იმისთვის რეალობა ზედმეტად მძაფრი რამ არის; განდეგილი ჭკუიდან იშლება, ხშირად წამლადაც ვერ პოულობს ის თანამზრახველს ვისმე თავისი ბოდვის ხორცის შესასხმელად.

* * *

...დამნაშავეს ორი რამ თვისება ახასიათებს – უსაზღვრო თავკერძობა და ნგრევის გამოხატული წყურვილი; ორსავე თვისებისთვის საერთოა და ორსავე გამოვლენის წინაპირობაა უგულობა და ადამიანთა ემოციური შეფასების ნაკლებობა.

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,



— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

* * *

...დღესაქამომდე ველურთა სულიერი ცხოვრება და კულტურული დონე ფასდებოდა ბევრად დაბალ ფასად, ვიდრე ისინი ამას იმსახურებდნენ.

* * *

...უკიდურესად არათანაბარ ფიზიკურ მონაცემთა და ცალკეულ პიროვნებათა სულიერი ნიჭიერების საშუალებით ბუნებამ დაადგინა უსამართლობა, რომლის თავიდან მოშორება შეუძლებელია.

* * *

ეკლესიის დემოკრატიზმი იმით გამოიხატება, რომ ქრისტეს წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, სუყველა ერთნაირად სარგებლობს იმისი სიყვარულით.

* * *

მამაზეციერისთვის ანგარიშის წარდგენა შეიძლება ეშმაკის არსებობის გამოისად, როგორც რომ იმისავე მიერ განსახიერებული ბოროტების არსებობისთვის.

* * *

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინიჭებს ვითარება, როცა ადამიანთა დიდი რაოდენობა ცდილობს, რომ უზრუნველყოს თავისთვის ბედნიერების გარანტია და ტანჯვისგან დაიცვას თავი სინამდვილის ილუზორული გარდაქმნის გზით... ესეგვარი მასობრივი ილუზიით უნდა მოვექცეთ კაცობრიობის რელიგიებსაც. ბუნებრივია, რომ ილუზიას არცვინ არა ცნობს, ამ ილუზიის მატარებელთა გარდა.

* * *

...მორწმუნე თავისი ღმერთის თანამოზიარე ხდება, და რაც უფრორე დიდებულია ღმერთი, მით უფრო საიმედოა მფარველობა, რასაც ის ამ მორწმუნეს გაუწევს.

* * *

რა შურს აღძრავს ჩვენში ის ურწმუნო, ვინც მამაზეციერის არსებობაშია დარწმუნებული! ამ დიადი სულისთვის არცრა გამოცანას არ იფარავს სამყარო, რამეთუ სუყოველივე მან შექმნა ამ სამყაროში.

* * *

პრიმიტიული ადამიანის თვალსაზრისით, სიცოცხლის გაგრძელება – უკვდავება – არავითარ ეჭვს არ იწვევს, სიკვდილზე წარმოდგენა მოგვიანებით ჩნდება და თანდათან ის ჩვენთვისაც რაღაც უშინაარსო და განუხორციელებელია.

* * *

ჩემი ღრმა რწმენით, უკეთუ სათნოება დაჯილდოებული არ იქნება ჯერ კიდევ უკვე დედამიწაზე, ეთიკური ქადაგებანი უსარგებლოა.

* * *

იუდაიზმი მამის რელიგია იყო, ქრისტიანობა შვილის რელიგია გახდა.

* * *

სუყოველი რელიგია, არსებითად, სუყველას მიმართ სიყვარულის რელიგიაა, ვინც კი ამ რელიგიას მიეკუთვნება და ნებისმიერი რელიგია შეიძლება რომ სასტიკი და მომთმენი იყვეს იმათ მიმართ, ვინც ამ რელიგიას არ მიეკუთვნება.

* * *

რელიგია სუყველას ერთნაირ გზას სთავაზობს ბედნიერების მისაღწევად და ტანჯვისგან დასაცავად. ესეგვარ ფასად, ფსიქიკური ინფანტილიზმის იძულებითი გზით გასამაგრებლად და მასობრივ ილუზიასთან საზიარებლად, რელიგიას ძალუძს მრავალი ადამიანის გადარჩენა ინდივიდუალური ნევროზისგან.

* * *

როს მორწმუნე, ბოლოს და ბოლოს, იძულებული ხდება, რომ ილაპარაკოს „უფლის შეუცნობელ გზებზე“, ამით ის ტანჯვა-წამებაში ბოლო ნუგეშინსა და ნეტარების წყაროდ მხოლოდ უსიტყვო თვინიერებას აღიარებს და უკეთუ ის ამისთვის მზად არის, მაშინ შეუძლია მოსარებ გზას აუაროს გვერდი.

* * *

ისინიც კი, ვისაც თანამედროვე კულტურული ცხოვრებიდან რელიგიურ ილუზიათა გაქრობა ესურვილება, იგნებენ, რომ ისინი, ილუზიები, ძლიერი დაცვა იყო ნევროტიკული საფრთხისგან იმ ადამიანთათვის, რომელთაც ხელ-ფეხი ჰქონდათ იმათით შეკრული.

* * *

...შესაძლებელია ერთდროულად ქრისტედ ყოფნაც და კარგა შორსაც იყვე ქრისტეს ადგილის შენი თავის დაყენებისგან, და ქრისტესავით გიყვარდეს სუყველა.

* * *

უბრალო მოკვდავს ვერ გაუბედავს სულის სიდიადისა და მაცხოვრის სიყვარულის დაჩემება.

* * *

რელიგიის სიღრმისეულ შინაარსს თუ განვაზოგადებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიისავე განსაკუთრებული ზეშთაგონებულობა და ლოგიკური სიმწყობრე კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეთა აღმაფრენის წყარო იყო.

* * *

ცრუმორწმუნეობა მიიჩნევა ესოდენ უადგილოდ მხოლოდ ჩვენს თანამედროვე საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო საქმეში, მაგრამ ჯერაც ისევ სულაც არა სრულყოფილ მსოფლმხედველობაში; მეცნიერებამდე დროებისა და ხალხების მსოფლმჭვრეტელობაში სავსებით კანონიერი და თანამიმდევრული იყო.

* * *

...სულებისა და აჩრდილთა, მკვდრეთით აღმდგარი სამშვინველის რწმენა სულაც არ უქრებათ განათლებულ ადამიანთ; ძალიან ბევრნი, ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით კეთილგონიერი ადამიანები, სპირიტიზმის მიყოლას გონების საწინააღმდეგოდ არ მიიჩნევენ.

* * *

...ის კი არა, საღად მოაზროვნე და ურწმუნო ადამიანს შეუძლია იმის აღნიშვნა, თუ რა იოლად, თვალის დახამხამებაში მიმართავს ის სულების რწმენას, უკეთუ რისამე ამაღელვებელსა და ამასთანავე იდუმალის მოწმე ხდება.

* * *

ცრურწმენა უმეტესად უბედურების წინათგრძნობაა; ვინც ხშირად სხვისთვის იწადინებს ბოროტს, მაგრამ აღზრდით სიკეთეს არის მიჩვეული და მსგავსი გულისთქმა თავისი შეგნებიდან გამოაძევა, ის განსაკუთრებულად იქნება მიდრეკილი ესეგვარი შეუცნობელი ბოროტებისდა გამოისად გარედან დამუქრებული უბედურების მოლოდინის მიმართ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66

⊙ ნდობა



# საქმემან მისმან...

**ჟურნალისტთა ქრელი ამქრის გაერთიანებას განსაკუთრებული უნარი სჭირდება, ამიიტომ, როცა მის თავკაცად ზედიზედ მეორედ აგირჩევენ, თანაც უკონკურენტოდ, ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.**

ყმაწვილკაცობაში დაობლებულმა **მიხეილ აბაიშვილმა,** შეიძლება ითქვას, თავისით გაიკვალა გზა პროფესიული სიმაღლეებისკენ, გაზეთებში — „დრონი" და „კაპიტალი" — გატარებული წლები კი შრომის ყადრის გაგების პარალელურად, ერთგვარ ტრამპლინად იქცა, სამაგალითო წინამორბედის — ელგუჯა ბერიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ ჩამოყალიბებულიყო.

„საქმემან შენმანო" — ხომ გსმენიათ. ჰოდა, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აქტიურად ჩართულ ჩვენს ლიდერს, რომელიც ძვირფას ლელასთან ერთად ოჯახიშვილობით გამორჩეულ ქალვაჟს უზრდის სამშობლოს, გუშინ ჭადრაკის სასახლეში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე კოლეგებმა ერთხმად გამოუცხადეს ნდობა და კიდევ ერთხელ აკურთხეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტად, რაც, დარწმუნებულნი ვართ, სამამულო მედიას მომავალ წარმატებებს მოუტანს.

⊙ ევროლიგა

# პლეი-ოფის მისადგომებთან

**საკალათბურთო ევროლიგის ჯგუფური რაუნდის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე რეგულარული სეზონის გამარჯვებული შარუნას იასიკიავიჩუსის დამოძღვრილი „ბარსელონა" გახდა, რომელმაც სტამბოლში ჩვენი ძველი მოკეთის — იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი „ფენერბახჩე" დაამარცხა — 82:73.**

ქართველ გულშემატკივარს, ბუნებრივია, **თორნიკე შენგელიას** ცსკა-ს მორიგი შეხვედრის პერიპეტიები განსაკუთრებით აინტერესებს, მაგრამ ამჯერად არმიელებს უბრძოლველად დანებდა თითქმის უკვე დაშლილი „ხიმკი" — 97:72 და სათქმელიც ბევრი არაფერია. რაც შეეხება „ჯვაროსნის" პირად მონაგარს, იგი „ცალფარაში" 11 ქულით, 4 მოხსნითა და 3 პასით დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გამარჯვებით მოსკოველებმა მეორე ადგილი გაინაღდეს და ფინიშზე ფრანგულ „ვილერბანს" უმასპინძლებენ.




იმავე დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება „რეალი" — „ეფესისა" და „ბასკონია" — „ვალენსიას" მატჩების შედეგებს, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს პლეი-ოფის საგზურების განაწილების ბედს.

⊙ ტყავის ბურთი

# სანაკრებოც, საკლუბოც...

**თითქოს გადაიარა სანაკრებო ტალღამ, მაგრამ საფეხბურთო ვნებები მხოლოდ ხუთი თვით ჩაცხრა. ბუნებრივია, მისი ოფიციალური მატჩების ნაწილს ვგულისხმობთ, თორემ გულშემატკივარს სანერვიულო სანახაობას რა გამოულევს, თუნდაც ამხანაგური შეხვედრებისა და საკლუბო ციებ-ცხელების სახით. ასე მაგალითად, ყაზანში დაბრუნებულმა ხვიჩა კვარაცხელიამ „რუბინს" მორიგი გოლით მოაგებინა „სოჭისთან" ბრძოლა — 1:0.**

მოდით, ვიდრე მუნდიალ-2022-ის ევროპული შესარჩევი რაუნდი განახლდება, თვალი გადავავლოთ საკვალიფიკაციო ჯგუფებში შექმნილ სატურნირო მდგომარეობას, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ეროვნული ნაკრები გუნდების პერსპექტივების საფუძვლიანობის თაობაზე. მაშ ასე, საშუალედო ფინიშზე ასეთი მდგომარეობაა (ზოგს 2, ზოგს კი 3 თამაში აქვს გამართული):

**„ა" ჯგუფი:** პორტუგალია, სერბეთი — 7-7, ლუქსემბურგი — 3, ირლანდია, აზერბაიჯანი — 0-0 ქულა.

**1 სექტემბერს ითამაშებენ:** პორტუგალია-ირლანდია, ლუქსემბურგი-აზერბაიჯანი.



**„ბ" ჯგუფი:** ესპანეთი — 7, შვედეთი — 6, საბერძნეთი — 2, საქართველო — 1, კოსოვო — 0 ქულა.

**2 სექტემბერს ითამაშებენ:** საქართველო-კოსოვო, შვედეთი-ესპანეთი.

**„გ" ჯგუფი:** იტალია — 9, შვეიცარია — 6, ჩრდილოეთ ირლანდია, ბულგარეთი — 1-1, ლიეტუვა — 0 ქულა.

**2 სექტემბერს ითამაშებენ:** იტალია-ბულგარეთი, ლიეტუვა-ჩრდილოეთ-ირლანდია.

**„დ" ჯგუფი:** საფრანგეთი — 7, უკრაინა — 3, ფინეთი — 2, ბოსნია, ყაზახეთი — 1-1 ქულა.

**1 სექტემბერს ითამაშებენ:** საფრანგეთი — ბოსნია, ყაზახეთი — უკრაინა.

**„ე" ჯგუფი:** ბელგია — 7, ჩეხეთი — 4, უელსი, ბელარუსი — 3-3, ესტონეთი — 0 ქულა.

**2 სექტემბერს ითამაშებენ:** ჩეხეთი-ბელარუსი, ესტონეთი-ბელგია.

**„ვ" ჯგუფი:** დანია — 9, შოტლანდია — 5, ისრაელი, ავსტრია — 4-4, ფარერები, მოლდოვა — 1-1 ქულა.

**1 სექტემბერს ითამაშებენ:** დანია-შოტლანდია, ფარერები-ისრაელი, მოლდოვა-ავსტრია.

**„ზ" ჯგუფი:** თურქეთი — 7, ჰოლანდია, მონტენეგრო, ნორვეგია — 6-6, ლატვია — 1, გიბრალტარი — 0 ქულა.

**1 სექტემბერს ითამაშებენ:** ლატვია-გიბრალტარი, ნორვეგია — ჰოლანდია, თურქეთი — მონტენეგრო.

**„თ" ჯგუფი:** ხორვატეთი, რუსეთი — 6-6, სლოვაკეთი — 5, კვიპროსი — 4, სლოვენია — 3, მალტა — 1 ქულა.

**1 სექტემბერს ითამაშებენ:** რუსეთი-ხორვატეთი, მალტა-კვიპროსი, სლოვენია — სლოვაკეთი.

**„ი" ჯგუფი:** ინგლისი — 9, უნგრეთი — 7, ალბანეთი — 6, პოლონეთი — 4, ანდორა, სან-მარინო — 0-0 ქულა.

**2 სექტემბერს ითამაშებენ:** უნგრეთი-ინგლისი, პოლონეთი-ალბანეთი, ანდორა-სან-მარინო.

**„კ" ჯგუფი:** სომხეთი — 9, ჩრდილოეთ მაკედონია, გერმანია — 6-6, რუმინეთი, ისლანდია — 3-3, ლიხტენშტაინი — 0 ქულა.

**2 სექტემბერს ითამაშებენ:** ჩრდლოეთ მაკედონია-სომხეთი, ლიხტენშტაინი-გერმანია, ისლანდია-რუმინეთი.

* * *

**21 აპრილს გაიმართება ტოკიოს ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის წილისყრა 16 გუნდის მონაწილეობით:**

**სამხრეთ ამერიკა** — არგენტინა, ბრაზილია;

**ევროპა** — საფრანგეთი, გერმანია, რუმინეთი, ესპანეთი;

**აფრიკა** — კოტ დ'ივუარი, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა;

**აზია** — იაპონია, სამხრეთ კორეა, საუდის არაბეთი;

**ოკეანეთი** — ავსტრალია, ახალი ზელანდია;

**კონკაკაფი** — ჰონდურასი, მექსიკა.

როგორც ცნობილია, ხუთრგოლიან ფორუმზე 23-წლამდელები თამაშობენ, თუმცა, ყოველ ნაკრებს შეეძლება განაცხადში ნებისმიერი ასაკის 3 წევრი ჰყავდეს.

დავძენთ, რომ ამ დღეებში კილიან მბაპემ გადატვირთული სეზონური გრაფიკის გამო გადაწყვიტა, ფრანგებს იაპონიაში არ დაეხმაროს.



* * *

**ბუნდესლიგაში გამართული სატიტულო მატჩი: „ლაიფციგი" — „ბაიერნი" (0:1), ტრავმის გამო რეკორდმაისტერის ლიდერმა რობერტ ლევანდოვსკიმ გამოტოვა. ამავე მიზეზით პოლონელი ბომბარდირი ეროვნულ ნაკრებს ინგლისში 1:2 წაგებულ შესარჩევ შეხვედრაშიც ვერ დაეხმარა.**

როგორც გაირკვა, 32 წლის ადამიან-გოლს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მოუწევს ანდორასთან უთანასწორო ბრძოლაში დაზიანებული მუხლის მკურნალობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიელები მის გარეშე შეეცდებიან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „პარი სენ-ჟერმენის" წინაღობის გადალახვას.

* * *



**„ბარსელონის" პრეზიდენტად ჟოან ლაპორტას დაბრუნების შემდეგ სავსებით რეალური გახდა კატალონიურ გრანდში ლეო მესის თანამემამულე მეგობრის სერხიო აგუეროს გადასვლა, რომლის შეძენაზეც პრეტენზიას აგრეთვე „იუვენტუსი", „ინტერი" და „ჩელსი" აცხადებენ.**

ასე რომ, „მანჩესტერ სიტიში" 32 წლის არგენტინელის 10-წლიანი ეპოქა სრულდება, რომელიც 384 შეხვედრაში გატანილმა 257 გოლმა, მათ შორის 12 ჰეთ-თრიქმა და პრემიერლიგის ოთხჯერ მოგებამ დაამშვენა, თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფი დიეგო მარადონას ყოფილი სიძისთვის დღემდე აუხდენელ ოცნებას წარმოადგენს.

დავძენთ, რომ „სიტის" პრეზიდენტს ჰალდონალ-მუბარაქის განზრახული აქვს მარცხენა მუხლის ქრონიკული ტრავმით გატანჯულ კლუბის ლეგენდას ძეგლი გაუხსნას „ქალაქელთა" სტადიონის შესასვლელთან ვინსენტ კომპანისა და დავიდ სილვას ფიგურების სიახლოვეს.

**ცნობისთვის**: აგუერო კვირაში 230 ათას გირვანქას გამოიმუშავებს, რაც მესამე შედეგია სტერლინგისა და დე ბრუინის შემდეგ.

⊙ კორტი

# ოცნების ნაწილი

**როგორც მოგეხსენებათ, ტრავმებით გატანჯულმა დიდი სლემის ტურნირების 20-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა კორტზე ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება დოჰაში მოახერხა, მაგრამ დენი ევანსთან გამარჯვების შემდეგ ნიკოლოზ ბასილაშვილთან დამარცხდა.**



ჟურნალ „ნუმეროსთვის" მიცემულ ინტერვიუში 39 წლის ლეგენდარულმა შვეიცარიელმა განმარტა, თუ რატომ აპირებს კარიერის გაგრძელებას:

**„მინდა დიდი ტურნირების მოგება და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა დამარცხება. კარგად ვიცი, რაცაა საამისოდ საჭირო, ამიტომ ძალიან ბევრს ვვარჯიშობ. იმედია, ხალხი მიხვდება, რამდენს ვშრომობ, რათა ასეთ დონეს მივაღწიო. შარშანდელი ოპერაციის შემდეგ უსაქმოდ ყოფნა ძალიან რთული იყო, მომავალში ტიტულების მოგება კი ჩემი ოცნების ნაწილია".**

⊙ თეთრი ოლიმპიადა

# იტალიელთა არჩევანი

**გამოქვეყნდა 2026 წლის (6-22 თებერვალი) ზამთრის ოლიმპიადის ოფიციალური ემბლემა, რომელსაც იტალიური მილანი და კორტინა დ'ამპეცო ერთობლივად უმასპინძლებენ.**




მოგებული ვარიანტი პირველად შეირჩა ონლაინ — გამოკითხვით და მას უპირატესობა 871 ათასიდან ხმოსანთა 74-მა პროცენტმა მიანიჭა. აღნიშნული ინფორმაცია „ოლიმპიკ ჩენელმა" გაავრცელა.

# დიდი მწერალი და ერისკაცი



## გურამ დოჩანაშვილი გარდაიცვალა

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, კულტურამ, სრულიად საქართველომ, მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა. გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი მწერალი და ერისკაცი **გურამ პეტრეს ძე დოჩანაშვილი**, შემოქმედი, რომელიც ზუსტად ექვსი ათეული წლის განმავლობაში ახერხებდა ყოფილიყო თავისი საესავი სამშობლოს ჭეშმარიტი მეციხოვნე და თავის განუმეორებელ რომანებსა და მოთხრობებში მოეგერიებინა მშობელი ერის დაუძინებელი მტრები — ღალატი და ორგულობა, განუკითხაობა და ავკაცობა, შური და მცონარობა, გულგრილობა და მედღეჭვალიობა, ყველა ის მეტასტაზი, რაც შიგნიდან ღრღნიდა და ანადგურებდა ქართველობას.

გურამ დოჩანაშვილის საუკეთესო ქმნილებანი, ისეთები, როგორიცა „სამოსელი პირველი“, „ვატერ(პ)ოლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, „კეჟერაძეები“, სხვანი და სხვანი, რომლებშიც ქართველთა მარადიული არსებობის ფორმულაა გაცხადებული, სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ოქროს ფონდში და სავიზიტო ბარათს წარმოადგენს ქართული სულის კივილისას...

გურამ დოჩანაშვილი დაიბადა 1939 წლის 26 მარტს თბილისში. 1946 წელს სასწავლებლად მიაბარეს თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1957 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1962 წელს დაასრულა.

მას შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად, ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგედ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციის თავმჯდომარედ. ყველგან, სადაც არ უნდა ემუშავა გურამ დოჩანაშვილს, ყველგან სიკეთესა და სათნოებას თესავდა, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

გურამ დოჩანაშვილის სამწერლო დებიუტი 1961 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობები. ასე დაიწყო გურამ დოჩანაშვილის მწერლური ცხოვრება, ცხოვრება შემოქმედისა, რომელიც გვხიბლავდა მწერლური ხელოვნებით, სიტყვის გრძნობით, ფანტაზიის ულევი მარაგით, სახეეებისა და ხასიათების კოლორიტული ძერწვის უნარით.

გურამ დოჩანაშვილის რომანები („სამოსელი პირველი“, „ლოდი ნასაყდრალი“, „ისედაც დასავლელი“, „ომარა და გივია“, „და პლანეტა ჰოლივუდი“, „არის და იყო უცნაური ადამიანიც, წუთისოფელიც“, „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, „ბრმადყოფილზე“...) და მოთხრობების კრებულები („ნაბიჯი“, „მხიარული ბორცვი“, „საქმე“, „ოთხი მოთხრობა“, „ძმისავ“, „კეჟერაძეები“, „ძნელო“, „ერთი კაცი“...) მართლაც რომ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, რადგანაც მათში საკუთარი სულის ნაწილი იპოვა, მაძიებელი, სიკეთის მთესველი სულის ნაწილი. ორიგინალობა, ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომის უნარი, მდიდარი ენობრივი ექსპერიმენტები თუ ნოვაციები გამოარჩევს მწერლის შემოქმედებას და ამიტომაცაა ის ახლობელი და გასაგები მათთვის, ვისაც ჭეშმარიტ მწერლობასთან ზიარება სურს. გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურული გმირები დაჟინებით ეძიებენ ხსნას სულიერი კრიზისისგან და კარგად აქვთ გასიგრძეგანებული, რომ ხსნა მხოლოდ მარადიული ღირებულებებისკენ, რწმენისკენ მობრუნებაშია და ისინიც თავგანწირულად იცავენ ჰუმანიზმისა და სათნოების უკეთილშობილეს პრინციპებს, ყველანაირად ეწინააღმდეგებიან ქვეყნის „კამორად“ გადაქცევის ნებისმიერ მცდელობას.

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე, მათ მიხედვით დადგმულია სპექტაკლები თეატრების სცენაზე, ტელესტუდიაში, გადაღებულია მხატვრული ფილმები, ისინი შეტანილია სასკოლო პროგრამებში.

გურამ დოჩანაშვილის მრავალწლიანი ღვწა სამწერლო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსებისა და საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, ვაჟა-ფშაველას, „საბას“, „საგურამოს“ პრემიები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ ვერარა ძალამ ვერანაირი ხერხით ვერ შეძლო, უარი ეთქმევინებინა გურამ დოჩანაშვილისთვის იმ იდეალების მსახურებაზე, რამაც ქართველი კაცი გადაარჩინა და დღევანდლამდე მოიყვანა. დიახ, ვერანაირი ცდუნება ვერ აიძულებდა, არ ყოფილიყო საოცრად თბილი, მოსიყვარულე და, ამავე დროს, ასევე საოცრად პრინციპული და შეუვალი, როცა საქმე ზნეობას ეხებოდა. ასე იყო მაშინაც, როცა სრულიად ახალგაზრდამ გაილაშქრა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, არად ჩააგდო რა მრისხანე უშიშროების კომიტეტის ჯურღმულები...

საქართველოს, მისი მეგობარი ქართველი მწერლების ხსოვნაში სამარადისოდ დარჩება მშობელი ხალხის უებრო სამსახურში ბოლომდე დახარჯული დიდი მწერლისა და ერისკაცის გურამ დოჩანაშვილის ნათელი ხსოვნა.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

---

ლუიზა და როინ მეტრეველები მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის, გამოჩენილი ქართველი მწერლის

**გურამ დოჩანაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ემუხვარების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, დედით ემუხვარი

**გურამ დოჩანაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, სამეგობრო-სანათესაოს და სრულიად საქართველოს.

# ჩაუქრობელი კელაპტარი



**ბატონ ანზორ ერქომაიშვილს** ყველა მუდამ დიდ პატივს სცემდა და აღიარებდა მის გამორჩეულ ღვაწლს როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურის წინაშე, ისე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ დაგვანახა, რომ იგი გაცილებით უფრო დიდი და განუმეორებელი იყო, ვიდრე ჩვენ მას აღვიქვამდით.

მისი პიროვნების უნიკალურობას, ღვთივმიმადლებულ ნიჭსა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, განაპირობებდა იშვიათი სიკეთე და თავმდაბლობა. ამიტომაც გახდა იგი ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის მსახურ ერქომაიშვილთა ცნობილი გვარის ღირსება და საქართველოსთვის დამაშვრალ მამულიშვილთა შორის კელაპტარი ჩაუქრობელი.

მისმა უკვდავმა სულმა ამიერიდან ღვთის წინაშე ახალი ცხოვრება დაიწყო. შეეწიოს მას ჩვენი ლოცვა, ლოცვა ახლობლებისა და სრულიად საქართველოსი და დაუმკვიდროს სავანე მართალთა, ამინ!..

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

---

## სამაგალითო მეგობარი და მამულიშვილი

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მამულიშვილი, სანიმუშო მოქალაქე, მისაბაძი პიროვნება, ქართული ფოლკლორის მოამაგე და სამაგალითო მეგობარი დაგვაკლდა.

ანზორი იყო კაცი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი პიროვნული თვისებებით, ინტელექტით, ზნეობით, შრომისმოყვარეობით. საკუთარ სამშობლოზე, ფოლკლორზე, ტრადიციებზე უსაზღვროდ შეყვარებული... გულში სიკეთის მზეს დაატარებდა და უშურველად გასცემდა სითბოს, სიყვარულს, სიბრძნეს, სანაცვლოდ კი არასდროს არაფერს ითხოვდა.

ეს მხოლოდ მისი გამორჩეული, შესანატრი თვისება გახლდათ.

ანზორ ერქომაიშვილი იყო ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ საორგანიზაციო ჯგუფის სულისჩამდგმელი და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბატონ ანზორთან ერთად შევძელით, ბევრი სასიკეთო და სამომავლო საქმე გვეკეთებინა და ამით ბედნიერნი ვართ. ფასდაუდებელია მისი წვლილი ქართული ფოლკლორის, მათ შორის, მეგრული სიმღერების მოძიების, პოპულარიზაციის, გადარჩენის და მომავალი თაობებისთვის გადაცემის საქმეში.

ანზორ ერქომაიშვილი ჩვენი პატარა ხობის უდიდესი გულშემატკივარი იყო და არც ხობელები აკლებდნენ სიყვარულს... ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭებით გამოხატეს ეს გულითადი პატივისცემა. სრულიად საქართველოს ღირსებით და ამაგით გამორჩეული პიროვნების გარდაცვალებამ საყოველთაო გლოვით გაგვაერთიანა. სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, მის უდიდეს სამეგობროს, მოსწავლეებს და საქართველოს ყველა ჭეშმარიტ ჭირისუფალს. მშვიდად განისვენე, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო და სამაგალითო მამულიშვილო!

**გოდერძი და მანანა ბუკიები**

---

## ქართული ფოლკლორის დიდი ეპოქა დასრულდა

უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამთ ლეგენდარული პიროვნების — ქართული ეროვნული საუნჯის, ქართული მრავალხმიანობის იშვიათი მარგალიტების გადამრჩენის XXI საუკუნის უდიდესი საზოგადო მოღვაწის, სამშობლოზე გულწრფელად და მთელი არსებით შეყვარებული პიროვნების, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ქტიტორთა სათათბიროსა და „საზოგადოება ივერიისას“ უცვლელი წევრის, ბატონი

**ანზორ ერქომაიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს და ახლობლებს.

წავიდა ჩვენგან ქართული ფოლკლორის უდიდესი და შეუცვლელი მეციხოვნე და დასრულდა ქართული ფოლკლორის დიდი ეპოქა.

ბატონი ანზორ ერქომაიშვილი დააკლდება არა მარტო მის უსაყვარლეს თბილისს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს, დააკლდება სამყაროს! მისი ხსოვნა კი უეჭველად დარჩება ყველგან, სადაც ქართველი კაცის კაცობა გადის, ქართული მრავალხმიანი სიმღერა ისმის და ქართული ეროვნული საქმე კეთდება...

**გურამ და მაია ახალაიები**

---

## დიდი ფოლკლორისტის უკვდავსაყოფად

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზს ანზორ ერქომაიშვილის სახელი ეწოდა. ინფორმაციას პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ავრცელებს.**

დარბაზი თავის დროზე ფონდ „ქართული გალობის“ მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის აქტიური მონაწილეობით გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს.

**„ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის ულამაზეს დარბაზს, რომელიც სწორედ ამ დიდ მოღვაწესთან ერთად გავხსენით, დღეიდან ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის დარბაზი ერქმევა“,** — განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

## სანთელი

# თენგიზ სისაური

ღირსეული ადგილი ეკავა ქალაქის კოლორიტს, კაცობითა და ერთგულებით აღიარებულ პიროვნებას **თენგიზ სისაურს** არამარტო თავის ცხოვრებაში, არამედ ჩვენს, უახლოესი ადამიანების გულებშიც. მან ვალმოხდილმა დატოვა მიწიერი საქართველო.

ჩვენო ძვირფასო რეზო და გოჩა, ჩვენო ნიკა, გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას მამისა და პაპის გარდაცვალების გამო. ვუერთდებით მრავალრიცხოვანი ადამიანების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების, სამმო-სამეგობროსა და ნათესავ-საახლობლოს გულისტკივილს.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს ადგილი თენგიზ სისაურის ნეტარ სულს ზეციურ საქართველოში.

**დავით გვაძაბია ოჯახით**

---

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს გოჩა და ნინო სისაურებს მამისა და მამამთილის

## თენგიზ დავითის ძე სისაურის

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ და ვახტანგ ქავთარაძეები ოჯახებით მწუხარებას გამოხატავენ გამორჩეული ნათესავის

## დავით დიმიტრის ძე ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ კობა და სოფო ნარჩემაშვილებს დედისა და დედამთილის

## ლუარა ვლადიმერის ასული ბოდოკია-ნარჩემაშვილის

გარდაცვალების გამო.

# LEGO-მპარავები

**ფრანგმა** სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს საერთაშორისო ქსელი, რომლის წევრებიც Lego-ს იშვიათ ნაკრებებს იპარავდნენ. დამნაშავეები, რომლებიც ფრანგმა სამართალდამცველებმა დააკავეს საერთაშორისო ქსელის წევრები აღმოჩნდნენ. ისინი საფრანგეთში ჩადიოდნენ, სასტუმროს ნომერს ჯავშნიდნენ, შემდეგ ავტომანქანა Audi-ით გადაადგილდებოდნენ და სათამაშოების მაღაზიებიდან დუპწ-ს იშვიათ ნაკრებებს იპარავდნენ. ძარცვის შემდეგ ამანათს პოლონეთში გზავნიდნენ. Lego-ს ქურდები მაღაზია PicWicToys ძარცვისას ფაქტზე დააკავეს.



საგულისხმოა, რომ Lego-ს ნაკრებების ფასი 800 დოლარსაც კი უტოლდება. ზოგიერთი ნაკრები კი წლების შემდეგ რარიტეტული ხდება და მასზე ფასი მნიშვნელოვნად იზრდება. Lego-c-ს მოდელებზე მოთხოვნა 2020 წელს პანდემიის გამო განსაკუთრებით გაიზარდა. მაგალითად ერთ-ერთი Lego-ს მოდელი 2007 წელს 150 ევრო ღირდა, 2020 წელს კი ფასმა 2 500 ევროს გადააჭარბა.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

# აღდგომა უმრევლოდ



**კათოლიკურმა აღდგომამ ვატიკანში პრაქტიკულად მრევლის გარეშე ჩაიარა. წმინდა პეტრეს ტაძარში მორწმუნეებისთვის განკუთვნილი სავარძლები ცარიელი იყო. ღვთისმსახურებას მხოლოდ სასულიერო პირები ესწრებოდნენ.**

ქადაგებისას კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა აღნიშნა, რომ პანდემიის ამ მძიმე პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, მორწმუნეებმა უფალს უსმინონ. კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესიები აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავენ.

* * *

**რომის პაპმა აღდგომის დღესასწაულის წინ გამართული ღვთისმსახურების დროს იმედი გამოთქვა, რომ „პანდემიის ბნელი დრო დასრულდება და ხალხი ყოველდღიურ ცხოვრების მადლს კვლავ აღმოაჩენს“.**

პონტიფიკოსის ქადაგება შედარებით ადრე დაიწყო, რათა მოქალაქეებს რომში მოქმედი კომენდანტის საათი არ დაერღვიათ.

**„პანდემიის ამ ბნელ თვეებში მოდით, მოვუსმინოთ ღმერთს, რომელიც ყველაფრის თავიდან დაწყებას გვთავაზობს და მოგვიწოდებს, არასდროს დავკარგოთ იმედი“,** — განაცხადა ქადაგების დროს პაპმა ფრანცისკემ. მან მოუწოდა მორწმუნეებს, იზრუნონ იმ ადამიანებზე, ვისაც დღეს დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება.

# შვიდი ობოლი იშვილეს




**კალიფორნიის ქალაქ მენიფიში მცხოვრებმა წყვილმა იშვილა 7 ბავშვი, რომელთა მშობლებიც ავარიას ემსხვერპლნენ. 50 წლის პამელა უილისმა და 53 წლის გერი უილისმა, რომელთაც 5 ზრდასრული შვილი ჰყავთ, სოციალურ ქსელში ნახეს განცხადება იმის შესახებ, რომ 15 წლის ადელინო, 13 წლის რუბი, 9 წლის ალისია, 8 წლის ენტონის 7 წლის ობრიელა, 5 წლის ლეო და 4 წლის ქსანდერი ტრაგიკული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაობლდნენ.**

პამელა უილისი ამბობს, რომ როდესაც ფოტოზე ბავშვების სახეები დაინახა, მიხვდა, რომ მათი დედა უნდა გამხდარიყო.

**„ვინ იშვილებდა მათ ყველას ერთად? ვის ექნებოდა ამისთვის საჭირო სივრცე? ვის გამონახავდა საკმარის დროს, სიყვარულსა და მოთმინებას, რათა ამ ბავშვებს მშობლების გარდაცვალების გადატანაში დახმარებოდა? პასუხი ჩვენთვის ნათელი იყო... ეს ჩვენ უნდა გვექნა“,** — ამბობენ პამელა და გერი.

# ფარაონების ოქროს აღლუმი

**ეგვიპტის დედაქალაქის კაიროს ქუჩებში 18 მეფისა და 4 დედოფლის მუმიები გრანდიოზული ცერემონიით ჩაატარეს. ფარაონების ოქროს აღლუმი — ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელიც 3 აპრილს გაიმართა და რომლის დროსაც, ეგვიპტის მმართველების მუმიები ეგვიპტური მუზეუმიდან ეგვიპტის ცივილიზაციის ახალ ეროვნულ მუზეუმში გადაასვენეს.**



ღონისძიებაზე უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იყო დაცული. რამზეს III (ძვ. წ. მე-13 საუკუნე), ამენჰოტეპ II (ძვ. წ. 1436 — ძვ. წ. 1412 წ.წ), დედოფალი ჰატშეფსუტი (ძვ. წ. 1503 — გ. ძვ. წ. 1480), მეფე მერნეპტაჰი (ძვ. წ. მე-13 საუკუნე), მეფე საპტაჰი (ძვ. წ. მე-12 საუკუნე)... ეს ეგვიპტის იმ ფარაონების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მუმიებიც კაიროს ქუჩებში ჩაატარეს.

# მფრინავი ტაქსი

**გერმანულმა კომპანია Lilium მფრინავი ტაქსის eVTOL-ის 7-ადგილიანი მოდელი წარადგინა. ამ მოდელის წარმოებაში ჩაშვება 2024 წლიდან იგეგმება.**

მფრინავი ტაქსის მოდელზე კომპანიამ მუშაობა 2018 წელს დაიწყო, ორი წლის შემდეგ კი EASA-ს სერტიფიკატი მიიღო. eVTOL-ის სიჩქარე საათში 280 კილომეტრი იქნება. მფრინავი ტაქსი 3 000 მეტრის სიმაღლეზე გადაადგილდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 7 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.4343; ევრო - 4.0446;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7520;
100 რუბლი - 4.5048; თურქული ლირა - 0.4267;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0233;
1000 სომხური დრამი - 6.4398.

**ამინდი 5 აპრილისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +18 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +20 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე | +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge